



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ჯაში

წევრ(ებ)ი:

ია სოხაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ლელა ზუბაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

მირანდა თურმანიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნინო ლაცაბიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

დავით კიკაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ნანა ნოზაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

მარი ფალელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

მაკა ყიფშიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

შორენა კაკაბაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება
- ☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- ☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ გეგმიური

☒ არაგეგმიური

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	212274867

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	მერაბ ალექსიძის ქუჩის II შესახვევი N4
საფოსტო ინდექსი	0160
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	http://skolaatinati.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	skolaatinati30@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	(+995 32) 2212937

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანება MES 9 24 0000860509, 15/07/2024წ. - „შპს საერთაშორისო ქართულ სკოლა ათინათში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	30 და 31 ივლისი, 2024წ.

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანების MES 9 24 0000860509, 15/07/2024წ. - „შპს საერთაშორისო ქართულ სკოლა ათინათში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ საფუძველზე, მიმდინარე წლის 30 და 31 ივლისს განხორციელდა ვიზიტი შპს საერთაშორისო ქართულ სკოლა ათინათში (შემდგომში სკოლა, დაწესებულება). ექსპერტების ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

აღსანიშნავია, რომ საგნობრივ ექსპერტებს, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განეხორციელებინათ სასწავლო პროცესში გამოყენებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსების, ასევე, ადამიანური რესურსის (პედაგოგები) კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან. ზემოაღნიშნული განხორციელდა ინტერვიუების, შესყიდვების დოკუმენტაციის, თანამშრომელთა პირადი საქმეების, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პედაგოგების პორტირებული მონაცემების განხილვის, ასევე, იმ ფოტომასალის საფუძველზე, რომელიც ვიზიტის შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ გადაეგზავნათ ექსპერტებს.

დაწყებითი განათლების ექსპერტი მონაწილეობდა ჯგუფის სამუშაო შეხვედრებში. მოამზადა შეკითხვები სკოლის დაწყებითი კლასების შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან გასაუბრებისთვის - საგნობრივ ექსპერტებთან ერთად გაესაუბრა მათ და

მონაწილეობა მიიღო შეფასების მომზადებაში. მან საგნის მასწავლებლებს მისცა რეკომენდაციები დიაგნოსტიკური შეფასების, სწავლა-სწავლების პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებისა და რემედიაციის პროცესების სწორად დაგეგმვის შესახებ.

წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა განიხილეს მოქალაქის განცხადება, რომელიც ეხებოდა დაწესებულებაში მიმდინარე წლის 12 ივნისს მომხდარ ინციდენტს. კერძოდ, მე-2 კლასის მოსწავლეს დასვენებაზე თამაშისას (განმცხადებელი მოსწავლეთა თამაშს აღწერს როგორც „ჩაჩეხვა“), თანაკლასელთან შეჯახების შედეგად, დაუზიანდა ზედა კიდური - დაფიქსირდა მოტეხილობა. როგორც განცხადებიდან ირკვევა, ეს უკვე რიგით მეორე დაზიანება იყო ხელის კიდურის (პირველი შემთხვევა თანაკლასელის დაბადების დღეზე დაფიქსირდა, ინციდენტამდე 6 თვით ადრე და მოსწავლეს დასჭირდა ოპერაციული ჩარევა). მშობელი განცხადებაში აქცენტს აკეთებს რამოდენიმე გარემოებაზე, კერძოდ:

- სკოლა მშობლის მოსვლამდე არ დაუკავშირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს;
- პირველადი დახმარება მოსწავლეს გაუწია კლასის დამრიგებელმა;
- დაწესებულება ინფორმირებული იყო მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, თუმცა, არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები, რათა თავიდან აეცილებინა ინციდენტი;
- მშობელი გულგრილობაში ადანაშაულებს სკოლის ადმინისტრაციას და ექთანს;
- დაწესებულებამ არ შესთავაზა მოსწავლეს ფსიქოლოგის მომსახურება/მხარდაჭერა.

ექსპერტებმა, კომპეტენციის ფარგლებში, სკოლის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს ზემოაღნიშნული ინციდენტი. გაეცნენ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებს, სკოლის დოკუმენტაციას, გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და გამოკვეთეს რიგი გარემოებები:

როგორც მოსწავლის კლასის დამრიგებელთან საუბრებისას გამოიკვეთა ინციდენტის დროს, დასვენებაზე, იგი არ იმყოფებოდა თავის კლასთან. ასევე, სკოლის მიერ დადგენილი მორიგეობის განრიგის შესაბამისად, შემთხვევის დროს დერეფანში არ იყო მორიგე მასწავლებელი.

დაწესებულების მიერ შედგენილი დოკუმენტის „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“ თანახმად, მწვავე სამედიცინო პრობლემის არსებობის შემთხვევაში, როდესაც მოცდის საშუალება არ არის, სკოლის დირექცია უფლებამოსილია შეუძლოდ მყოფ პირს არსებული რესურსის გამოყენებით შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩინოს მხოლოდ და მხოლოდ პირველადი მარტივი სამედიცინო დახმარება, რომლის გადადებაც მდგომარეობის გართულების აშკარა საშიშროების გამო დაუშვებელია, დარეკოს 112-ზე და გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა (რაც, აღნიშნულ შემთხვევაში, არ განხორციელდა). სკოლის სქემატურად წარმოდგენილი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურაც ითვალისწინებს პირველად დახმარებას და სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენას მშობელთან დაკავშირებამდე. თუმცა, ვინაიდან მშობელთან სატელეფონო კომუნიკაციისას მან აღნიშნა, რომ იმყოფებოდა დაწესებულებასთან ახლოს და მალევე გამოცხადდა სკოლაში, სწორედ ამან განაპირობა სკოლის მხრიდან შესაბამისი რეაგირება.

ექსპერტებმა საკითხის განხილვისას იხელმძღვანელეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ, 21.03.2022წ. - „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმად, სკოლის ექთნის კომპეტენციაა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების დროს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ, ჩაატაროს საჭირო მანიპულაციები და საჭიროების შემთხვევაში, გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

ექსპერტებმა გამოკვეთეს რამოდენიმე ასპექტი, რომელიც დაწესებულების მხრიდან პროცედურების და/ან კანონით დადგენილი რეგულაციების შესაძლო დარღვევაზე მიუთითებს:

- სკოლის მიერ შედგენილი საკანონმდებლო აქტები არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან (დაწესებულების ბრძანება „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“ არ ეფუძნება ზემოაღნიშნული №41/ნ/01-23/ნ, 21.03.2022წ., ბრძანებით დადგენილ რეგულაციებს);
- დაწესებულება მშობლის მოსვლამდე არ დაუკავშირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს;
- პირველადი დახმარება მოსწავლეს გაუწია კლასის დამრიგებელმა და არა სკოლის ექთანმა;

- სკოლას არ ჰყავს კვალიფიციური ექიმი. №41/ნ/01-23/ნ, 21.03.2022წ., ბრძანებით დადგენილი ნორმების მიხედვით - ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია სკოლის ექიმი ჩანაცვლდეს ექთნით. დაწესებულებას ბოლო წლების განმავლობაში არ გამოუცხადებია ვაკანსია ექიმის თანამდებობაზე და შესაბამისად, ვერ დგინდება, სახეზეა თუ არა საკადრო დეფიციტი.

როგორც მოსწავლის დამრიგებელთან და დირექტორის მოადგილესთან ინტერვიუებისას დგინდება, ისინი ინციდენტის შემდეგ მუდმივ კომუნიკაციაში იყვნენ მოსწავლის მშობელთან და ფლობდნენ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლე სხეულის დაზიანების შემდეგ სკოლაში არ გამოცხადებულა, შესაბამისად, არ/ვერ შესთავაზებდნენ ფსიქოლოგის მომსახურებას. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლის ფსიქოლოგის ძირითადი მოვალეობაა სსსმ- მოსწავლეების მომსახურება და იგი ინდივიდუალურ კონსულტაციებს არ უწევს მოსწავლეებს.

ვიზიტის მიმდინარეობისას, მთავარი აქცენტი ექსპერტების მხრიდან გაკეთდა პრევენციულ ღონისძიებებზე, რომელთა უზრუნველყოფას, შესაძლებელია, აერიდებინა თავიდან მოსწავლის ფიზიკური დაზიანება. კერძოდ, როგორც მშობელი განცხადებაში აღნიშნავს, სკოლა ინფორმირებული იყო მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და შესაბამისი ღონისძიებები უნდა გაეტარებინა. პირველ რიგში, ეს ეხებოდა მოსწავლეთა თამაშის ფორმას, რომელსაც, პოტენციურად, შესაძლოა გამოეწვია ნებისმიერი მოსწავლის ფიზიკური დაზიანება - ადგილზე, დამრიგებლის და მორიგე მასწავლებლის ყოფნას, შესაძლებელია თავიდან აერიდებინა ინციდენტი.

სკოლის დამრიგებელი არ არის უფლებამოსილი პირველადი დახმარება გაუწიოს მოსწავლეს, ვინაიდან ეს სცდება მის კომპეტენციას და ამას, შესაძლებელია, კიდევ უფრო გაემწვავებინა მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.

ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტეს, რომ მნიშვნელოვანია:

- დაწესებულებში კვალიფიციური ექიმის არსებობა;
- დაწესებულებამ სკოლაში მოქმედი რეგულაციები მოიყვანოს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან;

- დამრიგებლებმა და მორიგე მასწავლებლებმა უზრუნველყონ დასვენებებზე მოსწავლეთა ზედამხედველობა;
- განსაკუთრებული აქცენტი სკოლის მხრიდან დაეთმოს პრევენციულ ღონისძიებებს, მათ შორის, საინფორმაციო კამპანიას, რომლებიც მოსწავლეთა უსაფრთხოების, სხეულის დაზიანების, ჯანმრთელობის და სხვა ასპექტებს შეეხებოდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უარყოფითად შეფასდა შემდეგი ინდიკატორები: 3.3.1.3; 3.4.1.2; 3.4.1.4; 3.4.1.8; 4.1.1.1.

ვიზიტის მიმდინარეობას, სკოლის დირექციამ ითანამშრომლა ექსპერტებთან, წარმოადგინა მათ ხელთა არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები, დოკუმენტაცია. შედგა ეფექტური კომუნიკაცია.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
180	178

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა დასკვნის პროექტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით (სკოლის წერილი N3/58, 13.09.2024წ., თანდართული დოკუმენტაციით). თუმცა, როგორც ცნობილია, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N99/ნ, 01.10.2010წ. 27-ე მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულებას არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ჰქონდა შესაძლებლობა წარმოედგინა რესურსებით უზრუნველყოფილი, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინეს მათი შესაბამისობა სტანდარტთან. თუმცა, ვინაიდან დაწესებულებამ არ წარმოადგინა ცალკე შემუშავებული შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილი იქნებოდა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, დაწყების და დასრულების თარიღები, ასევე, ინფორმაცია საჭირო რესურსების, დაფინანსების წყაროს, ჩართული მხარეები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკების და მტკიცებულებების და/ან დანართების შესახებ, ექსპერტებმა იხელმძღვანელეს სკოლის ერთწლიანი გეგმით, სადაც გაწერილია იმ გამოწვევების ნაწილი, რომლებიც დაწესებულების წინაშეა, ასევე, წერილით N3/58, 13.09.2024წ., სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი სკოლის მიერ განხორციელებული და/ან დაგეგმილი ღონისძიებების ნუსხა და გაითვალისწინეს ინდიკატორების შეფასებისას.

საგნობრივმა ექსპერტებმა საკუთარი პოზიცია წარმოადგინეს სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი (არგუმენტირებული პოზიცია) მტკიცებულებების საფუძველზე. კერძოდ,

მათემატიკა: ინდიკატორი 2.1.2.2 - დაწყებითი კლასების კურიკულუმებში არ არის მითითებული თემის ფარგლებში საათობრივი დატვირთვა. კურიკულუმების გარკვეულ ნაწილში შესრულების დროდ მითითებულია თვეები, თუმცა ზოგ შემთხვევაში თვის დასახელება სხვადასხვა თემის ფარგლებში მეორდება (მაგ: ოქტომბერ /ნოემბერი და ნოემბერ/დეკემბერი) და შესაბამისად ბუნდოვანია, როგორ ხდება განაწილება. ასევე, გარკვეულ შემთხვევებში თვეც კი არ არის მითითებული და არ ხდება გარკვევა, რამდენ სთ-ში და როგორ მუშავდება თემა.

ინდიკატორი 2.1.2.2: მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში არ არის განსაზღვრული აქტივობები. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, აღმოგზავნილ კურიკულუმებში, არ არის გათვალისწინებული რეკომენდაციები. საბაზო და საშუალო საფეხურის განახლებული კურიკულუმები არ წარმოდგენია სკოლას, შესაბამისად, გაურკვეველია რამდენად გაითვალისწინეს ხარვეზებთან დაკავშირებული რეკომენდაციები - მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში აქტივობების განსაზღვრის შესახებ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: დაწყებითი საფეხური: მხოლოდ პირველი, მეორე და მესამე კლასის კურიკულუმები შეიცვალა, მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ კურიკულუმებში ახალი ხარვეზები გამოიკვეთა. ინდიკატორი 2.1.2.1 – I კლასის

კურიკულუმში ყველა თემაში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება. ქვეცნებები არ შეესაბამება სამიზნე ცნებებს და ვერ აკონკრეტებს მას. მაგალითად, სამიზნე ცნებების „სხელი“ და „ორგანიზმის საარსებო გარემო“ ქვეცნებად მითითებულია წელიწადის დროები. სამიზნე ცნება ყველა თემაში არ არის მითითებული და არ არის ქვეცნებებად ჩაშლილი. სამიზნე ცნება ზოგიერთ შემთხვევაში საკითხთა კლასტერის შეუსაბამოა. მაგალითად, საკითხის „ციკლური პროცესები ბუნებაში“ შესწავლისას სამიზნე ცნებად მითითებულია ადამიანის შეგრძნების ორგანოები; II კლასის კურიკულუმში ყველა თემაში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება. მაგალითად, თემაში „ჰაერი“ არ მუშავდება სამიზნე ცნება „სივრცეში ორიენტირება“; III კლასის კურიკულუმში მოცემული თემები არ შეესაბამება ესგ-ს სტანდარტში მოცემულ თემებს. კერძოდ, ესგ-ს მიხედვით მესამე კლასში ისწავლება ორი თემა: „ჩემი ქვეყნის ბუნება“ და „მზის სისტემა“. წარმოდგენილ კურიკულუმში არის მოცემული ექვსი თემა. ყველა თემაში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება. ყველა თემისთვის არ ჩანს შუალედური პროდუქტი; მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასის კურიკულუმები ახლა არ არის წარმოდგენილი, ამიტომ ხარვეზები ისევ რჩება:

IV კლასის კურიკულუმში ყველა თემაში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება. სამიზნე ცნება მითითებულია მხოლოდ პირველი თემისთვის და არ არის ჩაშლილი ქვეცნებებად. რესურსები ზოგადია, კერძოდ: ელექტრონული რესურსი. არ ჩანს კონტექსტ-მაგალითები და შუალედური პროდუქტები; V კლასის კურიკულუმში ყველა თემაში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება. სამიზნე ცნებები არ არის ჩაშლილი ქვეცნებებად. რესურსები ზოგადია, კერძოდ: ელექტრონული რესურსი. არ ჩანს კონტექსტ-მაგალითები და შუალედური პროდუქტები; VI კლასის კურიკულუმში ყველა თემაში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება. სამიზნე ცნება მითითებულია მხოლოდ პირველი თემისთვის და არ არის ჩაშლილი ქვეცნებებად. რესურსები ზოგადია, კერძოდ: ელექტრონული რესურსი. არ ჩანს კონტექსტ-მაგალითები და შუალედური პროდუქტები;

საბაზო საფეხური - ინდიკატორი 2.1.2.1 - არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა ფიზიკის მე-7 კლასის კურიკულუმები, სადაც არ არის დამუშავებული ესგ-ს სტანდარტით განსაზღვრული ოთხივე თემა. კერძოდ, პირველი თემა „მოსამზადებელი პერიოდი“ არ არის წარმოდგენილი; ი. ყველა თემაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ქვეცნებები არ არის მითითებული, რომ დადგინდეს რა მოცულობით ისწავლება მოცემული საკითხები; ფიზიკის მე-8 კლასის კურიკულუმში ყველა თემაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ფიზიკის მე-9 კლასის კურიკულუმში ყველა თემაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება.

ქიმიის მე-9 კლასის კურიკულუმში არ ჩანს შუალედური პროდუქტის ტიპი; ბიოლოგიის მე-7 და მე-8 კლასის კურიკულუმში განკუთვნილია საკითხებით სწავლებაზე. ყველა თემაში არ არის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხები არ არის დაკლასტერებული. არ ჩანს შემოქმედებითი პროდუქტები. თემები არ შეესაბამება ესგ-ს სტანდარტით განსაზღვრულ თემებს, სამიზნე ცნებების გრაფაში მოცემულია გაურკვეველი შედეგები. ბიოლოგიის მე-9 კლასის კურიკულუმში ყველა თემაში საკითხები არ არის დაკლასტერებული. ყველა თემაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. სამიზნე ცნებები არ არის ჩაშლილი ქვეცნებებად რომ დადგინდეს რა მოცულობით ისწავლება მოცემული საკითხი/საკითხთა კლასტერი. რესურსებად მითითებულია მხოლოდ მატერიალური რესურსი, მაგალითად, სახაზავი, ფანქრები, ფურცლები და სხვა. მხოლოდ ერთ საკითხს აქვს მითითებული რესურსად სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსი. რადგან არ არის

წარმოდგენილი სრულად შევსებული კურიკულუმები, სამიზნე ცნებები არ არის ჩაშლილი ქვეცნებებად, რომ გასაგები იყოს შესასწავლი საკითხის/ საკითხთა კლასტერის მოცულობა, არ დგინდება კურიკულუმები უზრუნველყოფს თუ არა სწავლის შედეგების მიღწევას;

საშუალო საფეხური - ინდიკატორი 2.1.2.1 - ფიზიკის მე-11 კლასის კურიკულუმში მოცემულია ესგ-ს სტანდარტით განსაზღვრული სამი სავალდებულო თემიდან მხოლოდ ორი თემა. ბიოლოგიის მე-10 და მე-11 კლასის კურიკულუმში ყველა თემაში საკითხები არ არის დაკლასტერებული. ყველა თემაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. სამიზნე ცნებები არ არის ჩაშლილი ქვეცნებებად, რომ დადგინდეს რა მოცულობით ისწავლება მოცემული საკითხი/საკითხთა კლასტერი. მე-12 კლასის კურიკულუმები ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგიაში სკოლას არ წარმოუდგენია შესაფასებლად. რადგან არ არის წარმოდგენილი სრულად შევსებული კურიკულუმები, სამიზნე ცნებები არ არის ჩაშლილი ქვეცნებებად, რომ გასაგები იყოს შესასწავლი საკითხის/ საკითხთა კლასტერის მოცულობა, არ დგინდება კურიკულუმები უზრუნველყოფს თუ არა სწავლის შედეგების მიღწევას;

საზოგადოებრივი მეცნიერებები: ინდიკატორი 2.1.2.1 (საშუალო საფეხური) - ახალ გადმოგზავნილ მასალაში დამატებულია საგნის „მოქალაქეობა“ კურიკულუმი - და ამ ინდიკატორში ხარვეზი აღმოფხვრილია. თუმცა, ექსპერტმა რჩევით მიმართა დაწესებულებას - სასურველია, რომ კურიკულუმს დართული ჰქონდეს პროდუქტი, რომელიც მათ პროექტის სახით აქვთ წარმოდგენილი. რადგან ნათელი იყოს - მოახერხა თუ არა მასწავლებელმა, სწორად წარემართა მოსწავლეებთან სამუშაო პროცესი და განახორციელა შუალედური მიზანი.

უცხოური ენები: ახალი კურიკულუმების მიხედვით. დაწყებითი საფეხური:

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია ინგლისურის შემთხვევაში თუმცა არა რუსული ენის შემთხვევაში. რუსული ენის კურიკულუმში არის გაუგებარი, არ არის წარმოდგენილი შემოქმედებითი აქტივობები, არეულია გრაფები. ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია. თუმცა: არის ახალი ხარვეზი; ინდიკატორი 2.2.1.1 - ხარვეზი: სკოლის მიერ გადმოგზავნილი კომპლექსური დავალების მატრიცის არცერთი ნიმუში არ არის ასახული კურიკულუმში დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში. მაგალითად: 1 კლასში მოცემული ერთადერთი შემოქმედებითი პროექტი ეხება ცხოველების ფერმის დახატვას მაშინ როცა თემატური მატრიცაში მოცემულია დავალება „ნახატის/ავტოპორტრეტის საშუალებით საკუთარი თავის წარდგენა თანატოლებისთვის“. გარდა ამისა, პირველი და მეორე კლასის კურიკულუმში აგებულია სახელმძღვანელო Everybody Up-ის მიხედვით, ხოლო კომპლექსური დავალების მატრიცაში მოცემულია დავალება სულ სხვა სახელმძღვანელოდან- New Building Blocks 1-დან. ხარვეზი 2: საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, ახალი ხარვეზი: ინდიკატორი 2.1.2.4 - კურიკულუმებსა და თემატურ მატრიცებში არ ჩანს რამდენად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს მოსწავლეებთან. მაგალითად მე-4 კლასის მატრიცაში მოცემული აქვთ რომ შექმნან პრეზენტაცია sway პროგრამაში, თუმცა არ არის გათვალისწინებული იმ მოსწავლეების შემთხვევა ვისაც შესაძლოა არ ჰქონდეს კომპიუტერთან წვდომა ან არ იცოდეს sway-ში მუშაობა.

ახალი რჩევა:

ინდიკატორი: 2121 - დაწყებით საფეხურზე, მეორე კლასის გარდა, ყველა კლასში კურიკულუმში მოცემულია მხოლოდ ერთი შემოქმედებითი აქტივობა რაც არ არის საკმარისი სასწავლო მიზნების მიღწევისთვის. სკოლას მიეცა რჩევა დაამატოს მინიმუმ ორი კიდევ შემოქმედებითი პროექტი.

ინდიკატორი: 2122 - დაწყებით საფეხურზე კურიკულუმში მოცემული ყველა შემოქმედებითი პროექტი მოიცავს პრეზენტაციის გაკეთებას, სკოლას მიეცა რჩევა გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროექტები როგორცაა, დიორამების შექმნა, ვიდეოს ჩაწერა, ფოტოს გადაღება და ა.შ.

ინდიკატორი - 21.22 - მე-4 კლასში შემოქმედებითი პროექტი არის ოჯახის წევრების შესახებ პრეზენტაციის მომზადება და მათი წარდგენა, სადაც, დავალების მიხედვით მოსწავლეებმა ასევე უნდა ისაუბრონ რა მოსწონთ ან არ მოსწონთ მათი ოჯახის წევრების თვისებებში. სკოლას მიეცა რჩევა, დაიცვან მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და ეს თემა სხვაგვარად წარმოადგინონ, მაგალითად: შესაძლებელია მოსწავლეებმა შექმნან და წარადგინონ გამოგონილი ოჯახები ან შეიძლება პროექტის თემა შეიცვალოს და ფოკუსირდეს, მაგალითად, საყვარელ საოჯახო ტრადიციებზე ან აქტივობებზე.

საბაზო საფეხური - საგნობრივი კურიკულუმში წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს ინდიკატორი 2.1.2.1 - ეს კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია ინგლისურის შემთხვევაში თუმცა არა რუსული ენის შემთხვევაში. რუსული ენის კურიკულუმში არის გაუგებარი, არ არის წარმოდგენილი შემოქმედებითი აქტივობები, არეულია გრაფები. აქ არის ახალი ხარვეზი: საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ინდიკატორი 2.1.2.2 - საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული ერთ-ერთი შემოქმედებითი პროდუქტია ბლოგპოსტის წერა მე-7 კლასში. სკოლას წარმოდგენილი აქვს ამ დავალების თემატური მატრიცა სადაც ჩანს, რომ ეს დავალება ბოლომე ვერ უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას შემდეგი მიზეზების გამო: 1. დავალებაში არ არის მოცემული ეტაპი როდესაც მოსწავლეები გაეცნობიან ბლოგპოსტის წერის სტრუქტურას; 2. დავალება მოიცავს ეტაპს სადაც მოსწავლეები წერენ შავ ვერსიას ბლოგპოსტიასას, თუმცა, ბოლო ეტაპი, როდესაც საბოლოო ბლოგპოსტს ქმნიან არ არის მოცემული.

შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება და მიზნების მიღწევა არ ხდება სრულად.

ინდიკატორი 2.2.1.1 - სკოლის მიერ გადმოგზავნილი კომპლექსური დავალების მატრიცის ნიმუში არ არის ასახული კურიკულუმში საბაზო საფეხურის მე-8 და მე-9 კლასში. მაგალითად: მე-9 კლასში კურიკულუმში მოცემულია შემოქმედებითი აქტივობები რომელიც მოიცავს, სათავგადასავლო-შემეცნებითი ტურის შექმნას ვიზიტორთათვის და სტატიის დაწერას მოგზაური ჟურნალისტებისთვის, მაშინ როცა თემატური მატრიცა აღწერს როგორ მოამზადონ პრეზენტაცია თემაზე “ჯანსაღი ცხოვრების წესი”.

ახალი რჩევა:

ინდიკატორი 2.1.2.1 - . სკოლას მიეცა რჩევა გაითვალისწინონ მოსწავლეთა პირადი ინფორმაციის დაცვის აუცილებლობა როდესაც ახორციელებენ შემოქმედებით აქტივობებს. მე-8 კლასში მოცემულია შემდეგი შემოქმედებითი დავალება „თანატოლებს მოუყვებით შენი და

შენი ქართველი თანატოლების მშობლებთან ურთიერთობისა თუ პრობლემების შესახებ” რთულია ამ ასაკში ისაუბრო პირადი გამოცდილებით მშობლებთან არსებულ პრობლემებზე, შესაძლოა უბრალოდ განზოგადდეს და ზოგადად გაკეთდეს პრეზენტაცია თაობათა შორის ურთიერთობაზე ზოგადად და არა პირადი გამოცდილებიდან.

ინდიკატორი 2122. მერვე კლასის კურიკულუმში მოცემულია მხოლოდ ერთი შემოქმედებითი აქტივობა რაც არ არის საკმარისი სასწავლო მიზნების მიღწევისთვის. სკოლას მიეცა რჩევა დაამატოს მინიმუმ ორი კიდევ შემოქმედებითი პროექტი.

საშუალო საფეხური:

ინდიკატორი 2.1.2.1 ეს კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია ინგლისურის შემთხვევაში თუმცა არა რუსული ენის შემთხვევაში. რუსული ენის კურიკულუმში არის სრულიად გაუგებარი, არ არის წარმოდგენილი შემოქმედებითი აქტივობები, არეულია გრაფები ერთმანეთში.

ესთეტიკური აღზრდა: ინდიკატორი 2.1.2.1 - დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნების ველში მოცემულ პროექტებში არ ჩანს თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა აღნიშნული პროექტების ფარგლებში. ინდიკატორ 2.1.2.1-ში აღნიშნული ხარვეზის გარდა სხვა ხარვეზები გამოსწორებულია. ინდიკატორი 2.2.1.1 - ხარვეზი არ არის გამოსწორებული; ინდიკატორი 2.1.2.5 - ხარვეზი არ არის გამოსწორებული.

საბაზო საფეხური - ინდიკატორი 2.1.2.1 - გამოსწორებულია, ინდიკატორი 2.2.1.1 - ხარვეზი არ არის გამოსწორებული; ინდიკატორი 2.1.2.5 ხარვეზი არ არის გამოსწორებული

ტექნოლოგიები - სკოლა ათინათის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებული წერილის საფუძველზე, კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის შეფასება არის დამაკმაყოფილებელი (ინდიკატორი 2.1.2.5; 2.2.1.3). თუმცა, ინდიკატორი 2.2.2.4 - რომელიც შეფასებულ იქნა, როგორც „არ შეესაბამება: შეფასდა როგორც „მეტწილად,, შესაბამისი, ვინაიდან სკოლას არ ჰყავდა საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. გასაუბრების დროს გაირკვა რომ მასწავლებელს არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, მას არ აქვს დიპლომი; არ არის სერთიფიცირებული; თუმცა, არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ დაადასტურა, რომ შესარჩევი კონკურსი გამოცხადებულია და სასწავლო წლის განმავლობაში დაწესებულებას ეყოლება კვალიფიციური კადრი. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც მანამდე შეფასებული იქნა როგორც „არ შეესაბამება“ შეფასდა, როგორც „მეტწილად“ შეესაბამება.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	დაწესებულების 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული შესრულების ინდიკატორები და აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური თუ ფინანსური რესურსები. სკოლის არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზი - 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაც, ასევე, არ შეიცავს ინფორმაციას შესრულების ინდიკატორების და აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური თუ ფინანსური რესურსების შესახებ (გადმოიგ ზავნა დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად)
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების	დაწესებულებას არ აქვს დამტკიცებული და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას არ აქვს დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო

	მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და საგანგებო შტაბი.
ინდიკატორი N3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	დაწესებულებას არ ჰყავს კვალიფიციური ექიმი. სკოლის ექთანი არ აწარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალებს. სკოლა არ იცავს მის მიერ დამტკიცებულ „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს.“
ინდიკატორი N3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით სკოლას არ აქვს განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, საინფორმაციო კამპანია, რომლებიც მოსწავლეთა უსაფრთხოებას, სხეულის დაზიანების, ჯანმრთელობის და სხვა ასპექტებს შეეხება. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად კლასის დამრიგებლები და მორიგე მასწავლებლები ვერ უზრუნველყოფენ დასვენებებზე მოსწავლეთა ზედამხედველობას;
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	ხარვეზი
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხოური ენები - ინგლისურ ენაში კურიკულუმებში არ არის მოცემული გრაფები „ძირითადი კონტექსტ მაგალითი“ და „მაგალითები შედარებისთვის“. გარდა ამისა, კურიკულუმებში არ ჩანს თუ როგორ ხორციელდება მასში გაწერილი შემოქმედებითი პროექტები. მოცემულია პროექტების მხოლოდ დასახელება, თუმცა, პროექტის დეტალური აღწერა არ არის გადმოცემული. მაგალითად: I კლასში წერია „პროექტი ჩემი სათამაშოები“. ასევე, არ არის მითითებული ამ პროექტის განსახორციელებლად რითი უნდა იხელმძღვანელოს მოსწავლემ ასევე, არ არის მოცემული „მაგალითები შედარებისთვის“ სადაც მოცემული იქნება ლინკი, გვერდი სახელმძღვანელოდან ან ონლაინ რესურსი ზუსტად იმისა რაც უნდა გააკეთოს მოსწავლემ. უცხოური ენები - არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე ექსპერტის შეფასება - დაკმაყოფილებულია ინგლისურის შემთხვევაში თუმცა არა რუსული ენის შემთხვევაში. რუსული ენის კურიკულუმი არის გაუგებარი, არ არის წარმოდგენილი შემოქმედებითი აქტივობები არეულია გრაფები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გამოკვეთილი ხარვეზი - I კლასის კურიკულუმში ყველა

		თემაში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება. ქვეცნებები არ შეესაბამება სამიზნე ცნებებს და ვერ აკონკრეტებს მას. მაგალითად, სამიზნე ცნებების „სხეული“ და „ორგანიზმის საარსებო გარემო“ ქვეცნებად მითითებულია წელიწადის დროები. სამიზნე ცნება ყველა თემაში არ არის მითითებული და არ არის ქვეცნებებად ჩაშლილი. სამიზნე ცნება ზოგიერთ შემთხვევაში საკითხთა კლასტერის შეუსაბამოა. მაგალითად, საკითხის „ციკლოური პროცესები ბუნებაში“ შესწავლისას სამიზნე ცნებად მითითებულია ადამიანის შეგრძნების ორგანოები; II კლასის კურიკულუმში ყველა თემაში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება. მაგალითად, თემაში „ჰაერი“ არ მუშავდება სამიზნე ცნება „სივრცეში ორიენტირება“; III კლასის კურიკულუმში მოცემული თემები არ შეესაბამება ესგ-ს სტანდარტში მოცემულ თემებს. კერძოდ, ესგ-ს მიხედვით მესამე კლასში ისწავლება ორი თემა: „ჩემი ქვეყნის ბუნება“ და „მზის სისტემა“. წარმოდგენილ კურიკულუმში არის მოცემული ექვსი თემა. ყველა თემაში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება ყველა თემისთვის არ ჩანს შუალედური პროდუქტი; მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასის კურიკულუმები ახლა არ არის წარმოდგენილი, ამიტომ ხარვეზები ისევ რჩება: IV კლასის კურიკულუმში ყველა თემაში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება. სამიზნე ცნება მითითებულია მხოლოდ პირველი თემისთვის და არ არის ჩაშლილი ქვეცნებებად. რესურსები ზოგადია, კერძოდ: ელექტრონული რესურსი. არ ჩანს კონტექსტ-მაგალითები და შუალედური პროდუქტები; V კლასის კურიკულუმში ყველა თემაში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება. სამიზნე ცნებები არ არის ჩაშლილი ქვეცნებებად. რესურსები ზოგადია, კერძოდ: ელექტრონული რესურსი არ ჩანს კონტექსტ-მაგალითები და შუალედური პროდუქტები; VI კლასის კურიკულუმში ყველა თემაში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება სამიზნე ცნება მითითებულია მხოლოდ პირველი თემისთვის და არ
--	--	---

		არის ჩაშლილი ქვეცნებებად. რესურსები ზოგადია, კერძოდ: ელექტრონული რესურსი. არ ჩანს კონტექსტ-მაგალითები და შუალედური პროდუქტები;
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნების კელში მოცემულ პროექტებში არ ჩანს თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა აღნიშნული პროექტების ფარგლებში
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს,	მათემატიკა - დაწყებითი კლასების კურიკულუმებში არ არის მითითებული თემის ფარგლებში საათობრივი დატვირთვა. კურიკულუმების გარკვეულ ნაწილში შესრულების დროდ მითითებულია თვეები, თუმცა ზოგ შემთხვევაში თვის დასახელება სხვადასხვა თემის ფარგლებში მეორდება (მაგ. ოქტომბერ /ნოემბერი და ნოემბერ/დეკემბერი) და შესაბამისად ბუნდოვანია როგორ ხდება განაწილება. ასევე გვაქვს შემთხვევები, როდესაც თვეც კი არ არის მითითებული და არ ხდება გარკვევა, რამდენ სთ-ში და როგორ

		მუშავდება თემა. მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში არ არის განსაზღვრული აქტივობები არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზი - უცხოური ენები - სკოლის მიერ გადმოგზავნილი კომპლექსური დავალების მატრიცის არცერთი ნიმუში არ არის ასახული კურიკულუმში დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში. მაგალითად: 1 კლასში მოცემული ერთადერთი შემოქმედებითი პროექტი ეხება ცხოველების ფერმის დახატვას მაშინ როცა თემატური მატრიცაში მოცემულია დავალება „ნახატის/ავტოპორტრეტის საშუალებით საკუთარი თავის წარდგენა თანატოლებისთვის“. გარდა ამისა, პირველი და მეორე კლასის კურიკულუმში აგებულია სახელმძღვანელო Everybody Up_ის მიხედვით, ხოლო კომპლექსური დავალების მატრიცაში მოცემულია დავალება სულ სხვა სახელმძღვანელოდან- New Building Blocks 1-დან. ხარვეზი 2: საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რადგან არ არის წარმოდგენილი სრულად შევსებული კურიკულუმები, არ დგინდება საგნობრივი აქტივობები უზრუნველყოფს თუ არა სწავლის შედეგების მიღწევას და სასწავლო პროცესი დაგეგმილია თუ არა საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რადგან არ არის წარმოდგენილი სრულად შევსებული კურიკულუმები, არ დგინდება საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმით განსაზღვრული

	მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას;	სწავლის შედეგების მიღწევას, კურიკულუმებში ყველგან არ არის მითითებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი;
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გამოკვეთილი ხარვეზი - უცხოური ენები - კურიკულუმებსა და თემატურ მატრიცებში არ ჩანს რამდენად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს მოსწავლეებთან. მაგალითად მე-4 კლასის მატრიცაში მოცემული აქვთ რომ შექმნან პრეზენტაცია sway პროგრამაში, თუმცა არ არის გათვალისწინებული ი მოსწავლეების შემთხვევა ვისაც შესაძლოა არ ჰქონდეს კომპიუტერთა წვდომა ან არ იცოდეს sway-ში მუშაობა.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდა - მუსიკისა და სახვითი ხელოვნების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და კომენტარი არის ზოგადი და საჭიროებს უფრო მეტად დაკონკრეტებას, თუ რა მოლოდინებია მოსწავლის მიმართ კონკრეტული შეფასების ინდიკატორებიდან გამომდინარე და რა რჩევას აძლევს მასწავლებელი ამის საფუძველზე მოსწავლეს, აქედან გამომდინარე, აღნიშნული ინდიკატორი არ არის შესაბამისი
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	ესთეტიკური აღზრდა - გასაუბრების შემდეგ სკოლის მიერ გადმოგ ზავნილ დაწყებითი საფეხურის განხორციელებული პროექტების ამსახველ ფოტო მასალებში არ არის კურიკულუმში გაწერილი 2023-24 წელს განსახორციელებელი პროექტები, ასევე სკოლის მიერ გადმოგ ზავნილ სხვა მასალებით და მუსიკის მასწავლებელთან გასაუბრებიდან გამომდინარე არ დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი აღნიშნულ საგნებში დაგეგმილია და მიმდინარეობს კურიკულუმის შესაბამისად.

		საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში არ ჩანს შემოქმედებითი პროდუქტი ყველა თემისთვის, ამიტომ, არ დგინდება სასწავლო პროცესი დაგეგმილია თუ არა საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად. უცხოური ენები - არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გამოვლენილი ახალი ხარვეზი: სკოლის მიერ გადმოგზავნილი კომპლექსური დავალების მატრიცის არცერთი ნიმუში არ არის ასახული კურიკულუმში დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში. მაგალითად: 1 კლასში მოცემული ერთადერთი შემოქმედებითი პროექტი ეხება ცხოველების ფერმის დახატვას მაშინ როცა თემატური მატრიცაში მოცემულია დავალება „ნახატის/ავტოპორტრეტის საშუალებით საკუთარი თავის წარდგენა თანატოლებისთვის“. გარდა ამისა, პირველი და მეორე კლასის კურიკულუმში აგებულია სახელმძღვანელო Everybody Up-ის მიხედვით, ხოლო კომპლექსური დავალების მატრიცაში მოცემულია დავალება სულ სხვა სახელმძღვანელოდან- New Building Blocks 1-დან.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დაწყებითი საგნების კათედრის სამუშაო ოქმში მითითებულია რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს რესურსების ვალიდაცია, მაგრამ არ არის მითითებული ვალიდაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, მონიტორინგის პროცესი და შედეგები. არ დგინდება არის თუ არა შეფასების სისტემა სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რადგან არ არის წარმოდგენილი სრულად შევსებული კურიკულუმები, ი არ დგინდება დამხმარე რესურსების არსებობა;
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად რესურსად მითითებულია მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელო, დამხმარე რესურსების ვალიდაციის პროცესი გასაუბრების დროსაც არ დადასტურდა, ამიტომ, ვერ დგინდება დამხმარე სასწავლო რესურსი არის თუ არა ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში ყველა თემისთვის არ არის მითითებული რესურსები, ამიტომ, არ დგინდება სკოლა უზრუნველყოფს თუ ვერა საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	ტექნოლოგიები - სკოლას არ ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს გასაუბრების დროს გაირკვა რომ მასწავლებელს არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, მას არ აქვს დიპლომი; არ არის სერტიფიცირებული;

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	ხარვეზი
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები	უცხოური ენები - კურიკულუმებში არ არის მოცემული გრაფები „ძირითადი კონტექსტ მაგალითი“ და „მაგალითები შედარებისთვის“ გარდა ამისა, კურიკულუმებში არ ჩანს თუ როგორ ხორციელდება

	წარმოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მასში გაწერილი შემოქმედებითი პროექტები. მოცემულია პროექტები მხოლოდ დასახელებით, თუმცა, ამ პროექტის დეტალური აღწერა არ არის. ასევე, არ არის მოცემული ამ პროექტის განსახორციელებლად რითი უნდა იხელმძღვანელოს მოსწავლემ. არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ გამოკვეთილი ხარვეზი: ეს კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია ინგლისურის შემთხვევაში თუმცა არა რუსული ენის შემთხვევაში. რუსული ენის კურიკულუმში არის გაუგებარი, არ არის წარმოდგენილი შემოქმედებითი აქტივობები, არეულია გრაფები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები_არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გამოკვეთილი ხარვეზი -- ფიზიკის მე-7 კლასის კურიკულუმები, სადაც არ არის დამუშავებულ ესგ-ს სტანდარტით განსაზღვრულ ოთხივე თემა. კერძოდ, პირველი თემა „მოსამზადებელი პერიოდი“ არ არის წარმოდგენილი; ი. ყველა თემაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ქვეცნებები არ არის მითითებული, რომ დადგინდეს რა მოცულობით ისწავლება მოცემული საკითხები; ფიზიკის მე-8 კლასის კურიკულუმში ყველა თემაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ფიზიკის მე-9 კლასის კურიკულუმში ყველა თემაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ქიმიის მე-9 კლასის კურიკულუმში არ ჩანს შუალედური პროდუქტის ტიპი; ბიოლოგიის მე-7 და მე-8 კლასის კურიკულუმში განკუთვნილია საკითხებით სწავლებაზე. ყველა თემაში არ არის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხები არ არის დაკლასტერებული. არ ჩანს შემოქმედებითი პროდუქტები. თემები არ შეესაბამება ესგ-ს სტანდარტით განსაზღვრულ თემებს, სამიზნე ცნებების გრაფაში მოცემულია გაურკვეველი შედეგები. ბიოლოგიის მე-9 კლასის
--	--	--

		კურიკულუმში ყველა თემაში საკითხები არ არის დაკლასტერებული. ყველა თემაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. სამიზნე ცნებები არ არის ჩაშლილი ქვეცნებებად რომ დადგინდეს რა მოცულობით ისწავლება მოცემული საკითხი/საკითხთა კლასტერი. რესურსებად მითითებულია მხოლოდ მატერიალური რესურსი, მაგალითად, სახაზავი, ფანქრები, ფურცლები და სხვა. მხოლოდ ერთ საკითხს აქვს მითითებული რესურსად სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსი. რადგან არ არის წარმოდგენილი სრულად შევსებული კურიკულუმები, სამიზნე ცნებები არ არის ჩაშლილი ქვეცნებებად, როგორც გასაგები იყოს შესასწავლი საკითხის/ საკითხთა კლასტერის მოცულობა, არ დგინდება კურიკულუმები უზრუნველყოფს თუ არა სწავლის შედეგების მიღწევას;
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს,	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რადგან არ არის წარმოდგენილი სრულად შევსებული კურიკულუმები, არ დგინდება საგნობრივი აქტივობები უზრუნველყოფს თუ არა სწავლის შედეგების მიღწევას და სასწავლო პროცესი დაგეგმილია თუ არა საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად. მათემატიკა - საბაზო კლასების კურიკულუმებში არ არის მითითებული თემის ფარგლებში საათობრივი დატვირთვა. კურიკულუმების გარკვეულ ნაწილში შესრულების დრო მითითებულია თვეები, თუმცა ზოგ შემთხვევაში თვეც კი არ არის მითითებული და არ ხდება გარკვევა, რამდენ სთ-ში და როგორ მუშავდება თემა. არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გამოკვეთილი ხარვეზი - მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში არ არის განსაზღვრული აქტივობები. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას,

		ადმოგზავნილ კურიკულუმებში, არ არის გათვალისწინებული რეკომენდაციები. საბაზო საფეხურის განახლებული კურიკულუმები არ წარმოდგენია სკოლას, შესაბამისად, გაურკვეველია რამდენად გაითვალისწინეს ხარვეზებთან დაკავშირებული რეკომენდაციები - მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში აქტივობების განსაზღვრის შესახებ. არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გამოკვეთილი ხარვეზი უცხოური ენები - საგნოვრივი კურიკულუმით განსაზღვრული ერთ-ერთი შემოქმედებითი პროდუქტია ბლოგპოსტის წერა მე-7 კლასში. სკოლას წარმოდგენილი აქვს ამ დავალების თემატური მატრიცა სადაც ჩანს, რომ ეს დავალება ბოლომე ვერ უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას შემდეგი მიზეზების გამო: 1. დავალებაში არ არის მოცემული ეტაპი როდესაც მოსწავლეები გაეცნობიან ბლოგპოსტის წერის სტრუქტურას 2. დავალება მოიცავს ეტაპს სადაც მოსწავლეები წერენ შავ ვერსიას ბლოგპოსტიასას, თუმცა, ბოლო ეტაპი, როდესაც საბოლოო ბლოგპოსტს ქმნიან არ არის მოცემული. შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება და მიზნების მიღწევა არ ხდება სრულად
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მათემატიკა - საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში არ არის გაწერილი სასწავლო რესურსები. კურიკულუმებში შესაძლოა ფრაგმენტულად ერთ ან ორ ადგილზე ეწეროს მხოლოდ სახელმძღვანელოს გვერდი, თუმცა ეს შემთხვევებიც ძალიან იშვიათი ძირითად შემთხვევაში წერია ზოგადი ფრაზები, მაგ: სახელმძღვანელო, ელექტრონული რესურსი youtube-და შესაბამისად ბუნდოვანია რა რესურსებზეა საუბარი.

		საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რადგან არ არის წარმოდგენილი სრულად შევსებული კურიკულუმები, არ დგინდება საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კურიკულუმებში ყველგან არ არის მითითებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი;
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ გადმოგზავნილი მასალებიდან გამომდინარე, მუსიკისა და სახვითი ხელოვნების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და კომენტარი არის ზოგადი და საჭიროებს უფრო მეტად დაკონკრეტებას, თუ რა მოლოდინებია მოსწავლის მიმართ კონკრეტული შეფასების ინდიკატორებიდან გამომდინარე და რა რჩევას აძლევს მასწავლებელი ამის საფუძველზე მოსწავლეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება მხოლოდ მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების შემოწმებას, კერძოდ: ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის, დისკუსიის პროექტის შეფასების რუბრიკები. კონტექსტ-მაგალითებსა და ესგ-ს სტანდარტის ინდიკატორებზე დამყარებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და კომენტარები, რომლითაც ხდება მოსწავლის შედეგების შეფასება, სკოლას არ მოუწოდებია. წარმოდგენილია შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზები(ბიოლოგია 8,9 კლასი, ქიმია 8 კლასი). ანალიზების შედეგად გამოტანილი დასკვნები არის ძალიან ზოგადი და არ არის ორიენტირებული თითოეული მოსწავლესა თუ ესგ-თ განსაზღვრულ სტანდარტის ინდიკატორზე.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	ესთეტიკური აღზრდა - გასაუბრების შემდეგ სკოლის მიერ გადმოგზავნილ განხორციელებული პროექტების ამსახველ ფოტო

		მასალებში არ არის საბაზო საფეხურის კურიკულუმში გაწერილი 2023-24 წელს განსახორციელებელი პროექტები, ასევე სკოლის მიერ გადმოგზავნილ სხვა მასალებით და მუსიკის მასწავლებელთან გასაუბრებიდან გამომდინარე არ დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი აღნიშნულ საგნებში დაგეგმილია და მიმდინარეობს კურიკულუმის შესაბამისად, აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რადგან არ არის წარმოდგენილი სრულად შევსებული კურიკულუმები, არ დგინდება სასწავლო პროცესი დაგეგმილია თუ არა საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად. არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზი: უცხოური ენები: სკოლის მიერ გადმოგზავნილი კომპლექსური დავალების მატრიცის ნიმუში არ არის ასახული კურიკულუმში საბაზო საფეხურის მე-8 და მე-9 კლასში. მაგალითად: მე-9 კლასში კურიკულუმში მოცემულია შემოქმედებითი აქტივობები რომელიც მოიცავს, სათავედასავლო-შემეცნებითი ტურის შექმნას ვიზიტორთათვის და სტატიის დაწერას მოგზაური ჟურნალისტებისთვის, მაშინ როცა თემატური მატრიცა აღწერს როგორ მოამზადონ პრეზენტაცია თემაზე “ჯანსაღი ცხოვრების წესი”.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის სამუშაო ოქმში მითითებულია რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს რესურსების ვალიდაცია, მაგრამ არ არის მითითებული ვალიდაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, მონიტორინგის პროცესი და

		შედეგები. არ დგინდება არის თუ არა შეფასების სისტემა სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რადგან არ არის წარმოდგენილი სრულად შევსებული კურიკულუმები, არ დგინდება დამხმარე რესურსების არსებობა;
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დამხმარე სასწავლო რესურსი არაა თუ არა ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რადგან არ არის წარმოდგენილი სრულად შევსებული კურიკულუმები, არ დგინდება სკოლა უზრუნველყოფს თუ ვერა საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	ხარვეზი
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხოური ენა - ინგლისურ ენაში კურიკულუმებში არ არის მოცემული გრაფები „ძირითადი კონტექსტ მაგალითი“ და „მაგალითები შედარებისთვის“. გარდა ამისა, კურიკულუმებში არ ჩანს თუ როგორ ხორციელდება მასში გაწერილი შემოქმედებითი პროექტები. მოცემულია პროექტების მხოლოდ დასახელება, თუმცა, ამ პროექტის დეტალური აღწერა არ არის გადმოცემული. ასევე, არ არის მოცემული ამ პროექტის განსახორციელებლად რითი უნდა იხელმძღვანელოს მოსწავლემ. გარდა ამისა, ინგლისურ ენაში მე-10 კლასის კურიკულუმში არ არის მოცემული სამიზნე ცნებები ყველა საკითხთან

		მიმართებით და სკოლას საერთოდ არ წარმოუდგენია ინგლისურ ენაზე მე-12 კლასის კურიკულუმი. უცხოური ენები - არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზი: კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია ინგლისურის შემთხვევაში თუმცა არა რუსული ენის შემთხვევაში. რუსული ენის კურიკულუმი არის სრულიად გაუგებარი არ არის წარმოდგენილი შემოქმედებითი აქტივობები, არეულია გრაფები ერთმანეთში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები_არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გამოკვეთილი ხარვეზი ფიზიკის მე-11 კლასის კურიკულუმში მოცემულია ესგ-ს სტანდარტით განსაზღვრული სამი სავალდებულო თემიდან მხოლოდ ორი თემა. ბიოლოგიის მე-10 და მე-11 კლასის კურიკულუმში ყველა თემაში საკითხები არ არის დაკლასტერებული. ყველა თემაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება სამიზნე ცნებები არ არის ჩაშლილი ქვეცნებებად, რომ დადგინდეს რა მოცულობით ისწავლება მოცემული საკითხი/საკითხთა კლასტერი. მე-12 კლასის კურიკულუმები ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგიაში სკოლას არ წარმოუდგენია შესაფასებლად. რადგან არ არის წარმოდგენილი სრულად შევსებული კურიკულუმები, სამიზნე ცნებები არ არის ჩაშლილი ქვეცნებებად, რომ გასაგები იყოს შესასწავლი საკითხის/საკითხთა კლასტერის მოცულობა, არ დგინდება კურიკულუმები უზრუნველყოფს თუ არა სწავლის შედეგების მიღწევას;
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს,	უცხოური ენები - რუსულ ენაში X, XI და XII კლასების და ინგლისურ ენაში მე-11 კლასის, კურიკულუმებში მოცემულია მხოლოდ ერთი

		შემოქმედებითი პროდუქტი რამაც შესაძლოა, ვერ უზრუნველყოს სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რადგან არ არის წარმოდგენილი სრულად შევსებული კურიკულუმები, არ დგინდება საგნობრივი აქტივობები უზრუნველყოფს თუ არა სწავლის შედეგების მიღწევას და სასწავლო პროცესი დაგეგმილია თუ არა საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად. მათემატიკა - საშუალო კლასების კურიკულუმებში არ არის მითითებული თემის ფარგლებში საათობრივი დატვირთვა. კურიკულუმების გარკვეულ ნაწილში შესრულების დრო მითითებულია თვეები, თუმცა ზოგ შემთხვევაში თვეც კი არ არის მითითებული და არ ხდება გარკვევა, რამდენ სთ-ში და როგორ მუშავდება თემა; მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში არ არის განსაზღვრული აქტივობები. არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გამოკვეთილი ხარვეზი - მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში არ არის განსაზღვრული აქტივობები. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, ადმოგ ზავნილ კურიკულუმებში, არ არის გათვალისწინებული რეკომენდაციები. საბაზო საფეხურის განახლებული კურიკულუმები არ წარმოდგენია სკოლას, შესაბამისად, გაურკვეველია რამდენად გაითვალისწინეს ხარვეზებთან დაკავშირებული რეკომენდაციები - მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში აქტივობების განსაზღვრის შესახებ.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის	მათემატიკა - საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში არარის გაწერილი სასწავლო რესურსები. კურიკულუმებში შესაძლოა ფრაგმენტულად ერთ ან ორ ადგილზე ეწეროს მხოლოდ

	მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სახელმძღვანელოს დასახელება თუმცა ეს შემთხვევებიც ძალიან იშვიათია. ძირითად შემთხვევაში წერია ზოგადი ფრაზები, მაგ: სახელმძღვანელო, ელექტრონული რესურსი youtube-და შესაბამისად ბუნდოვანია რა რესურსებზეა საუბარი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საშუალო საფეხურის ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის კურიკულუმებში არ არის მითითებული რესურსები ყველა თემისთვის და არ დგინდება საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კურიკულუმებში ყველგან არ არის მითითებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი;
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების გამოყენება კურიკულუმებში არ ჩანს.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ გადმოგზავნილი მასალებიდან გამომდინარე, მუსიკისა და სახვითი ხელოვნების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და კომენტარი არის ზოგადი და საჭიროებს უფრო მეტად დაკონკრეტებას, თუ რა მოლოდინებია მოსწავლის მიმართ კონკრეტული შეფასების ინდიკატორებიდან გამომდინარე და რა რჩევას აძლევს მასწავლებელი ამის საფუძველზე მოსწავლეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება მხოლოდ მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების შემოწმებას, კერძოდ: ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის, დისკუსიის პროექტის შეფასების რუბრიკები. კონტექსტ-მაგალითებსა და ესგ-ს სტანდარტის ინდიკატორებზე დამყარებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი

		შეფასების რუბრიკები და კომენტარები, რომლითაც ხდება მოსწავლის შედეგების შეფასება, სკოლას არ მოუწოდებია. წარმოდგენილია შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზები(ბიოლოგია 11 კლასი, ქიმია 11 კლასი). ანალიზების შედეგად გამოტანილი დასკვნები არის ძალიან ზოგადი და არ არის ორიენტირებული თითოეული მოსწავლესა თუ ესგ-თ განსაზღვრულ სტანდარტის ინდიკატორზე.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	ესთეტიკური აღზრდა - გასაუბრების შემდეგ სკოლის მიერ გადმოგზავნილ განხორციელებული პროექტების ამსახველ ფოტო მასალებში არ არის საშუალო საფეხურის კურიკულუმში გაწერილი 2023-24 წელს სახვით ხელოვნებაში განსახორციელებელი პროექტები, ასევე სკოლის მიერ გადმოგზავნილ სხვა მასალებით არ დასტურდება რომ სასწავლო პროცესი სახვით ხელოვნებაში (2023-24 წელს აღნიშნულ საგანში განხორციელდა პროექტული სწავლება) დაგეგმილია და მიმდინარეობს კურიკულუმის შესაბამისად. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რადგან საშუალო საფეხურის ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის საგნობრივ კურიკულუმებში ყველა თემისთვის არ არის მითითებული საკითხთა კლასტერი და შემოქმედებითი პროდუქტი, არ დგინდება სასწავლო პროცესი დაგეგმილია თუ არა საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის სამუშაო ოქმში მითითებულია რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს რესურსების ვალიდაცია, მაგრამ არ არის მითითებული ვალიდაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, მონიტორინგის პროცესი და შედეგები. არ დგინდება არის თუ არა შეფასების სისტემა სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რადგან არ არის წარმოდგენილი სრულად შევსებული კურიკულუმები, არ დგინდება დამხმარე რესურსების არსებობა;
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დამხმარე სასწავლო რესურსი არის თუ არა ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რადგან არ არის წარმოდგენილი სრულად შევსებული კურიკულუმები, არ დგინდება სკოლა უზრუნველყოფს თუ ვერა საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N1.1.1.5.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის რევიზირებული მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროობა სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2024-2025 სასწავლო წელს.
ინდიკატორი N1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეები უკუკავშირის გათვალისწინებით;	დაწესებულებამ უზრუნველყოს მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით 2024-2025 სასწავლო წელს.
ინდიკატორი N1.2.2.3.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;	დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შედეგების საჯაროობა სკოლის ვებ. გვერდზე 2024-2025 სასწავლო წლის მიმდინარეობისას.
ინდიკატორი N1.2.2.4.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.	2024-2025 სასწავლო წელს, დაწესებულებამ, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების	მასწავლებლებმა უზრუნველყონ შესაბამისი ცნობების წარმოდგენა - კერძოდ, ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ, ასევე,

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;	სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შესახებ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი ვადის შესაბამისად (20024-2025 სასწავლო წელს)
ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	დაწესებულებამ 2024-2025 სასწავლო წლისათვის უზრუნველყ დაწესებულებაში კვალიფიციური კადრების დასაქმება.
ინდიკატორი N3.5 .1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ უზრუნველყოს რესურსოთახის მოწყობა ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადაში.
ინდიკატორი N3.4.1.8	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	სკოლამ უზრუნველყოს უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდული შეფასება და შედეგების შესაბამისად, მათ გაუმჯობესება სამოქმედო გეგმაში მითითებული ვადების შესაბამისად.
ინდიკატორი N3.6 3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები	დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმაში მითითებული ვადის შესაბამისად, ვებ. გვერდზე ინფორმაციის სრულად განთავსება

	და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N4.1.2.3.	სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება სკოლის ვებ. გვერდზე სამოქმედო გეგმაში მითითებული ვადების შესაბამისად.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.3.1.1 ინდიკატორი 2.3.1.2 ინდიკატორი 2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;	დაწესებულებამ უზრუნველყოს მონიტორინგი და შეფასება არგუმენტირებულ წერილში მითითებული ვადების გათვალისწინებით, კერძოდ, 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში

	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.	
ინდიკატორი 2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;	სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შედგენა არგუმენტირებულ წერილში მითითებული ვადების გათვალისწინებით, კერძოდ, 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში
ინდიკატორი 2.4.1.2	კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.	კურიკულუმის გადამუშავებისას გათვალისწინებულ იქნას მონიტორინგის და შეფასების შედეგები არგუმენტირებულ წერილში მითითებული ვადების გათვალისწინებით, კერძოდ, 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.3.1.1 ინდიკატორი 2.3.1.2 ინდიკატორი 2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას; მონიტორინგი და შეფასება ემსახურე სასკოლო საზოგადოების წევრებს მხარდაჭერასა და დახმარებას.	დაწესებულებამ უზრუნველყოს მონიტორინგი და შეფასება არგუმენტირებულ წერილში მითითებული ვადების გათვალისწინებით, კერძოდ, 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში
ინდიკატორი 2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;	სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შედგენა არგუმენტირებულ წერილში მითითებული ვადების გათვალისწინებით, კერძოდ, 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში

ინდიკატორი 2.4.1.2	კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.	კურიკულუმის გადამუშავებისას გათვალისწინებულ იქნას მონიტორინგის და შეფასების შედეგები არგუმენტირებულ წერილში მითითებული ვადების გათვალისწინებით, კერძოდ, 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.3.1.1 ინდიკატორი 2.3.1.2 ინდიკატორი 2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას; მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.	დაწესებულებამ უზრუნველყოს მონიტორინგი და შეფასება არგუმენტირებულ წერილში მითითებული ვადების გათვალისწინებით, კერძოდ, 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში
ინდიკატორი 2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;	სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შედგენა არგუმენტირებულ წერილში მითითებული ვადების გათვალისწინებით, კერძოდ, 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში
ინდიკატორი 2.4.1.2	კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.	კურიკულუმის გადამუშავებისას გათვალისწინებულ იქნას მონიტორინგის და შეფასების შედეგები არგუმენტირებულ წერილში მითითებული ვადების გათვალისწინებით, კერძოდ, 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ მოახდინოს სკოლის ფილოსოფიის რევიზირება, რათა ხედვამ ასახოს ორგანიზაციის განვითარების ასპექტები 5-15 წლის პერსპექტივით.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N.3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სასურველია სკოლის დებულებაში გაიმიჯნოს სპეციალური მასწავლებლისა და ფსიქოლოგის, აგრეთვე ექიმისა და ექთნის ფუნქციები. მნიშვნელოვანია ექთნის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესაბამისობაში იქნას მოყვანილ 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტის“ მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ექთნის კომპეტენციასთან.
ინდიკატორი N.3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სასურველია დაწესებულებამ ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმებით განსაზღვროს კადრების შერჩევის მექანიზმები და დაადგინოს შესრულებული სამუშაოს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასების ფორმები. მნიშვნელოვანია სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში აისახოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები.
ინდიკატორი N.3.2.1.1	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა	დაწესებულებამ პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენა სასურველია უზრუნველყოს სკოლის დირექტორის 2023 წლის 1 სექტემბრის N6-15 ბრძანებით

	დადგენის მექანიზმები	დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკით გათვალისწინებული ნორმების დაცვით.
ინდიკატორი N.3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;	სასურველია სკოლამ პერსონალის მართვის პოლიტიკაში დეტალურად განსაზღვროს როგორც თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები, ისე ადაპტაციის ეტაპზე სხვა დასაქმებულთა ვალდებულებები.
ინდიკატორი N.3.2.1.5	წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.	მნიშვნელოვანია დაწესებულებამ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს პერსონალის მართვის პოლიტიკასა და სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებული წახალისების ფორმები
ინდიკატორი N.3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პროცესში პროცესული მიდგომისა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრულყოფის მიზნით, სკოლამ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში სასურველია გაითვალისწინოს დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების დეტალური პროცესები, ასევე განსაზღვროს გარე ხარისხის კონტროლის მექანიზმები;
ინდიკატორი N.3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	მნიშვნელოვანია სკოლამ განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი.
ინდიკატორი N.3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკა სერვისების მიწოდებას მის მიე დადგენილი წესის მიხედვით;	სასურველია დაწესებულება, განაახლოს წიგნადი ფონდი და შეავსოს იგი ახალი გამოცემებით.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა

ინდიკატორი N4.2.1.3.	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;	ექსპერტებმა რჩევით მიმართეს სკოლას, შეიმუშაონ რეგულაციები, რომლებიც აღწერენ დაწესებულებაში მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის ძირითად ასპექტებს.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სახელმწიფო ენა - სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში იყოს დაზუსტებული, ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ასევე გაწერილი იყოს, ის თუ კონკრეტულად რა პერიოდს მოიცავს კურიკულუმით გაწერილი გეგმა. გაიწეროს ასევე იმ მასწავლებლის/მასწავლებლების სახელები და გვარები, რომლებიც მუშაობენ კურიკულუმზე. დასაზუსტებელია ასევე საათობრივი განაწილება. არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გამოკვეთილი რჩევა: უცხოური ენები: დაწყებით საფეხურზე, მეორე კლასის გარდა, ყველა კლასში კურიკულუმში მოცემულია მხოლოდ ერთი შემოქმედებითი აქტივობა რაც არ არის საკმარისი სასწავლო მიზნების მიღწევისთვის. სკოლას მიეცა რჩევა დაამატოს მინიმუმ ორი კიდევ შემოქმედებითი პროექტი.
ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა - სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში დაზუსტდეს/დარედაქტირდეს სამიზნე ცნების ქვეცნებები, მაგ: ა) მე-3 კლასის კურიკულუმში თემა რიცხვებში სამიზნე ცნება მათემატიკურ მოდელში წერია - გეომეტრიული მოდელი. ბ) მე-5 კლასის კურიკულუმში თემა განტოლება უტოლობაში სამიზნე ცნება კანონზომიერებაში წერია - ისწავლონ უმარტივესი განტოლებების ამოხსნა და შემოწმება.

		სასურველია პროექტების გეგმაში უფრო დეტალურად იყოს გაწერილი განხორციელებული აქტივობები უცხოური ენები - დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი პროექტის მხოლოდ სათაური და არ არის აღწერილი რას მოიცავს ეს პროექტი, კონკრეტულად რა უნდა შექმნან მოსწავლეებმა. სკოლას მიეცა რჩევა, დაწეროს შემოქმედებითი პროდუქტის დეტალები. ასევე, სკოლას მიეცა რჩევა შემოქმედებითი პროდუქტები გახადოს უფრო მრავალფეროვანი და არ მოიცავდეს მხოლოდ პოსტერის შექმნას და პრეზენტაციის წარდგენას. შესაძლოა განხორციელდეს ისეთი პროექტები როგორიცაა: დიორამა, ფოტო-ვიდეო შექმნა / გადაღება, თამაშები და ფაზლები და ა.შ. უცხოური ენები - არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გამოკვეთილი რჩევა: - დაწყებით საფეხურზე კურიკულუმში მოცემულ ყველა შემოქმედებითი პროექტი მოიცავს პრეზენტაციის გაკეთებას, სკოლას მიეცა რჩევა გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროექტები როგორიცაა, დიორამების შექმნა, ვიდეოს ჩაწერა, ფოტოს გადაღება და ა.შ. მე-4 კლასში შემოქმედებითი პროექტი არის ოჯახის წევრების შესახებ პრეზენტაციის მომზადება და მათი წარდგენა, სადაც, დავალების მიხედვით მოსწავლეებმა ასევე უნდა ისაუბრონ რა მოსწონთ ან არ მოსწონთ მათი ოჯახის წევრების თვისებებში. სკოლას მიეცა რჩევა, დაიცვან მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და ეს თემა სხვაგვარად წარმოადგინონ, მაგლითად: შესაძლებელია მოსწავლეებმა შექმნან და წარადგინონ გამოგონილი ოჯახები ან შეიძლება პროექტის თემა
--	--	--

		შეიცვალოს და ფოკუსირდეს, მაგალითად, საყვარელ საოჯახო ტრადიციებზე ან აქტივობებზე. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია, რომ კურიკულუმში განსაზღვრული “პროექტი”-ს შესაბამისი დოკუმენტები იყოს წარმოდგენილი. (სკოლაში შემოქმედებითი პროდუქტი კომპლექსური დავალება ჩანაცვლებულია პროექტით).
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს,	სახელმწიფო ენა - სასურველია საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები იყოს უფრო მჭიდრო კავშირში დავალები ფარგლებში შერჩეულ თემასთან. იმისათვის, რომ უკეთ იქნას მიღწეულ სწავლის შედეგები. ტექნოლოგიები - სასურველი იყო საათობრივად გაეწერა სკოლას თემები;
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	ტექნოლოგიები - სასურველია: • სკოლა გაეცნოს განათლების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ საჭირო რესურსებს საგნის უკეთ სწავლების მიზნით მაგალითად როგორცაა https://school.emis.ge/ • კომპიუტერულ ტექნოლოგიების საგანში არ არსებობს ამ ეტაპზე ოფიციალური გრიფირებული სახელმძღვანელო, თუმცა დამხმარე რესურსი რომელსაც მასწავლებელი ოფიციალურად იყენებს როგორც ინტერვიუში აღნიშნა - „ავტორი- მარლიშვილი ქარსაულიძე“ არ აქვს მითითებული კურიკულუმში და არც კათედრის შეხვედრის ოქმში არ არის მის გამოყენებასთან დაკავშირებით საკითხი დამტკიცებული;

		<i>მათემატიკა</i> - სასურველია ყველა კლასის საგნობრივ კურიკულუმში დეტალურად იყოს განსაზღვრული სასწავლო რესურსი. ისე როგორც რესურსები მითითებულია I და II კლასის კურიკულუმებში.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სახელმწიფო ენა - სასურველია, სკოლამ გააძლიეროს დიფერენცირებული სწავლების მეთოდები, კერძოდ მუდმივად აკვირდებოდეს, ცდილობდეს დაადგინოს მოსწავლის მზაობა და მასწავლებელს შეარჩიოს და შეადგინოს დავალებები. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველი იქნებოდა, რომ კონკრეტულ თემასთან ან საკითხთან მიმართებაში დანართის სახით ერთვოდეს დავალება.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	მათემატიკა - სასურველია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაკეთდეს თემის ფარგლებში და მიმართული იყოს სამიზნე ცნების გააზრება/დამუშავებაზე. სახელმწიფო ენა - სასურველია შეფასების რუბრიკები იყოს არა ზოგად როგორც ახლა აქვს სკოლას, არამედ კონკრეტული, მორგებული პროექტსა თუ დავალებაზე. ეს კონკრეტულად ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის გამჭვირვალობას. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველი იქნებოდა ზოგად შეფასებასთან ერთად (ჩვენი საქართველო) წარმოდგენილი ყოფილიყო თემასთან ან პროექტთან მიმართებაში შეფასების რუბრიკა, განმავითარებელი ან განმსაზღვრელი
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	უცხოური ენები: გასაუბრებისას აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ იყენებენ დამხმარე სახელმძღვანელოებისა და გრამატიკის სწავლებისას რომელიც არ არის მითითებული სასწავლო რესურსებში. სკოლას მიეცა

		რჩევა მიუთითოს სასწავლო რესურსებშიც დამხმარე სახელმძღვანელოები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სახელმწიფო ენა - სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში იყოს დაზუსტებული, ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ასევე გაწერილი იყოს, ის თუ კონკრეტულად რა პერიოდს მოიცავს კურიკულუმით გაწერილი გეგმა. გაიწეროს ასევე იმ მასწავლებლის/მასწავლებლების სახელები და გვარები, რომლებიც მუშაობენ კურიკულუმზე. დასაზუსტებელია ასევე საათობრივი განაწილება. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია, რომ საგნობრივ კურიკულუმში უფრო უკეთ იყოს წარმოდგენილი სამიზნე ცნებებთან ერთად ქვეცნებები. ასევე, ერთვოდეს დანართის სახით “პროექტი”(კომპლექსური დავალების ნაცვლად აქვთ არჩეული) ,რადგან უკეთ ჩანდეს რესურსები და აქტივობები.
		მათემატიკა - სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში დაზუსტდეს/დარედაქტირდეს სამიზნე ცნების ქვეცნებები; სასურველია პროექტების გეგმაში უფრო დეტალურად იყოს გაწერილი განხორციელებული აქტივობები უცხოური ენები - ინგლისურ ენაში მე-7 და მე-9 კლასის, ხოლო რუსულ ენაში მე-7 და მე-9 კლასის კურიკულუმებში წარმოდგენილია

		შემოქმედებითი პროექტის მხოლოდ სათაური და არ არის აღწერილი რას მოიცავს ეს პროექტი, კონკრეტულად რა უნდა შექმნან მოსწავლეებმა. სკოლას მიეცა რჩევა, დაწეროს შემოქმედებითი პროდუქტის დეტალები. ასევე, სკოლას მიეცა რჩევა შემოქმედებითი პროდუქტები გახადოს უფრო მრავალფეროვანი და არ მოიცავდეს მხოლოდ პოსტერის შექმნას და პრეზენტაციის წარდგენას. შესაძლოა განხორციელდეს ისეთი პროექტები როგორიცაა: დიორამა, ფოტო-ვიდეო შექმნა / გადაღება, თამაშები და ფაზლები და ა.შ. ეს კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია ინგლისურის შემთხვევაში თუმცა არა რუსული ენის შემთხვევაში. რუსული ენის კურიკულუმში არის სრულიად გაუგებარი, არ არის წარმოდგენილი შემოქმედებითი აქტივობები, არეულია გრაფები ერთმანეთში. არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გაცემული რჩევა - უცხოურ ენები - სკოლას მიეცა რჩევა გაითვალისწინონ მოსწავლეთა პირადი ინფორმაციის დაცვის აუცილებლობა როდესაც ახორციელებენ შემოქმედებით აქტივობებს. მე-8 კლასში მოცემულია შემდეგი შემოქმედებითი დავალება „თანატოლებს მოუყვებით შენი და შენი ქართველი თანატოლების მშობლებთან ურთიერთობისა თუ პრობლემების შესახებ“ რთულია ამ ასაკში ისაუბრო პირადი გამოცდილებით მშობლებთან არსებულ პრობლემებზე, შესაძლოა უბრალოდ განზოგადდეს და ზოგადად გაკეთდეს პრეზენტაცია თაობათა შორის ურთიერთობაზე ზოგადად და არა პირადი გამოცდილებიდან. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია, რომ საკითხები იყოს წარმოდგენილი თხრობითი წინადადების სახით და არა კითხვითი
--	--	--

		ფორმით. კომპლექსური დავალებების (აქ პროექტი) გასწვრივ მიეთითოს არა მხოლოდ ის ცნებები, რომლებიც მუშავდება ამა თუ იმ დავალებაში ქვეცნებებიც.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს,	სახელმწიფო ენა - სასურველია საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები იყოს უფრო მჭიდრო კავშირში დავალები ფარგლებში შერჩეულ თემასთან. იმისათვის, რომ უკეთ იქნას მიღწეულ სწავლის შედეგები. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია მეტი მრავალფეროვანი აქტივობები იყოს წარმოდგენილი მუშაობის დროს.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	უცხოური ენა - რესურსებში ძირითადად მოცემულია სკოლის სახელმძღვანელო, სადაც არ არის მითითებული გვერდი, სკოლას მიეც რჩევა მიუთითოს კონკრეტული გვერდი რომელიც მოიცავს ამა თუ იმ გაკვეთილის რესურსს. გარდა ამისა, სკოლას მიეცა რჩევა გამოიყენოს მრავალფეროვანი რესურსები საბაზო საფეხურზე რომელიც მოიცავს ვიდეოებს, ონლაინ ქვიზებსა თუ სხვადასხვა ელექტრონულ რესურსებს. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია, რომ საბაზო საფეხურზე სახელმძღვანელოს გარდა სხვა რესურსებიც იყოს წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გაცემული რჩევა - უცხოურ ენები - მერვე კლასის კურიკულუმში მოცემულია მხოლოდ ერთი შემოქმედებითი აქტივობა რაც არ არის საკმარისი სასწავლო მიზნების მიღწევისთვის. სკოლას მიეცა რჩევა დაამატოს მინიმუმ ორი კიდევ შემოქმედებითი პროექტი.

ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სახელმწიფო ენა - სასურველია, სკოლამ გააძლიეროს დიფერენცირებული სწავლების მეთოდები, კერძოდ მუდმივად აკვირდებოდეს, ცდილობდეს დაადგინოს მოსწავლის მზაობა და მასზე მორგებულად შეარჩიოს და შეადგინოს დავალებები. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას შუალედური მიზნის მისაღწევად არჩეული აქვს პროექტებით მუშაობა და სასურველი იქნებოდა, აღნიშნული მოსწავლეებისთვის წარმოადგინოს ერთი განხორციელებული მათზე მორგებული დავალების ნიმუში ან წინასწა გაწერილი დავალება.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	მათემატიკა - სასურველია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაკეთდეს თემის ფარგლებში და მიმართული იყოს სამიზნე ცნების გააზრება/დამუშავებაზე. სახელმწიფო ენა - სასურველია შეფასების რუბრიკები იყოს არა ზოგად როგორც ახლა აქვს სკოლას, არამედ კონკრეტული, მორგებული პროექტსა თუ დავალებაზე. ეს კონკრეტული ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის გამჭვირვალობას. საზოგადოებრივი მეცნიერებები - 1.შემაჯამებელი დავალებების ტესტები გახდეს უფრო მრავალფეროვანი, სავარჯიშოები გაიწეროს ისე რომ შესაძლებელი გახდეს არა მარტო ცოდნის, არამედ უნარებისა და ღირებულება/დამოკიდებულებების შეფასება. 2. გაიწეროს ისეთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელთა კრიტერიუმები დაემიზნება ცნებებსა და და შედეგების შეფასების ინდიკატორებს.

		3. კურიკულუმში მოცემული პროექტული ტიპის დავალებების მიხედვით გაიწეროს ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი თვითგანმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველი იქნებოდა ცნების მკვიდრი წარმოდგენები უკეთ იყოს ჩამოლილი შეფასების რუბრიკაში
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სახელმწიფო ენა - სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში იყოს დაზუსტებული, ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ასევე გაწერილი იყოს, ის თუ კონკრეტულად რა პერიოდს მოიცავს კურიკულუმით გაწერილი გეგმა. გაიწეროს ასევე მასწავლებლის/მასწავლებლების სახელები და გვარები, რომლებმაც მუშაობენ კურიკულუმზე. დასაზუსტებელია ასევე საათობრივი განაწილება. საზოგადოებრივი მეცნიერებები: კარგი იქნებოდა, რომ კურიკულუმს დართული ჰქონდეს პროდუქტი, რომელიც მათ პროექტის სახით აქვთ წარმოდგენილი. რადგან ნათელი იყოს - მოახერხა თუ არა მასწავლებელმა, სწორად წარემართა მოსწავლეებთან სამუშაო პროცესი და განახორციელა შუალედური მიზანი.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები	მათემატიკა - სასურველია მე-10 კურიკულუმის ჩარჩოებში დაზუსტდეს/დარედაქტირდეს სამიზნე ცნების ქვეცნებები; სასურველია პროექტების გეგმაში უფრო დეტალურად იყოს გაწერილი განხორციელებული აქტივობები.

	წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხოური ენა - როგორც ინგლისურ ასევე, რუსული ენის კურიკულუმებში მოცემულია შემოქმედებითი პროდუქტი, თუმცა არ არის დეტალები ახსნილი თუ რას მოიცავს ესა თუ ის პროდუქტი. სკოლას მიეცა რჩევა დეტალურად აღწეროს პროექტის განხორციელების გზები.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს,	სახელმწიფო ენა - სასურველია საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები იყოს უფრო მჭიდრო კავშირში დავალები ფარგლებში შერჩეულ თემასთან. იმისათვის, რომ უკეთ იქნას მიღწეულ სწავლის შედეგები.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველი იქნებოდა რესურსების მეტი მრავალფეროვნება ჩანდეს საგანთა (ისტორია, გეოგრაფია) კურიკულუმში. სასურველია, რომ საშუალო საფეხურზე უფრო მეტი რესურსი იქნას შეტანილი საკლასო სივრცეში, რათა სწავლება უფრო საინტერესო იყოს
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სახელმწიფო ენა - სასურველია, სკოლამ გააძლიეროს დიფერენცირებული სწავლების მეთოდები, კერძოდ მუდმივად აკვირდებოდეს, ცდილობდეს დაადგინოს მოსწავლის მზაობა და მასზე მორგებულად შეარჩიოს და შეადგინოს დავალებები. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია, შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის - პროექტის დავალების შეთავაზების დროს, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები.

ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	მათემატიკა - სასურველია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაკეთდეს თემის ფარგლებში და მიმართული იყოს სამიზნე ცნების გააზრება/დამუშავებაზე. სახელმწიფო ენა - სასურველია შეფასების რუბრიკები იყოს არა ზოგადი, როგორც ახლა აქვს სკოლას, არამედ კონკრეტული, მორგებული პროექტსა თუ დავალებაზე. ეს კონკრეტული ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის გამჭვირვალობას. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გამომდინარეობდეს სტანდარტის შედეგებიდან და თავისთავად ფარავს სამიზნე ცნებებს, თუმცა შემაჯამებელ დავალებების ანალიზის ფორმებში, სადაც წარმოდგენილია დავალების პირობა, შეფასების რუბრიკა და ანალიზი, არ არის მითითებული შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. შეფასების კრიტერიუმები ორიენტირდეს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე და მიეთითოს დოკუმენტაციაშიც.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველი იქნებოდა ცნების მკვიდრ წარმოდგენები უკეთ ჩაშლილი იყოს შეფასების რუბრიკაში
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	მათემატიკა - სასურველია სამივე კლასის კურიკულუმში ზუსტად ჩანდეს რა დამხმარე რესურსებზეა საუბარი, ისევე როგორც მაგ. მე-12 კლასის კურიკულუმში თემა: განტოლება, უტოლობა, უტოლობათა სისტემა-ის გასწვრივ ჩანს რომ დამხმარე რესურსად მასწავლებელი იყენებს მათემატიკა (აბიტურიენტებისათვის) ავტორები: ღვაბერიძე, დვალისვილი მოსიძე, გელაშვილი, სირბილაძე --ს წიგნს

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

წინა ვიზიტის (წარმოების ტიპი - ავტორიზაცია, ვიზიტის განხორციელების თარიღი: 03.05.2022 და 04.05.2022წ.) დასკვნის ფორმის გაცნობისას დადგინდა, რომ სკოლას დარღვეული ჰქონდა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად განსახორციელებელი საკანონმდებლო მოთხოვნები და ენის ბარიერის მქონე მოსწავლეებისთვის, საგნის მასწავლებლებს არ ჰქონდათ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მიუხედავად სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნისა.

2024 წლის 30 და 31 ივლისს განხორციელებული ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ დაწესებულებამ ზემოაღნიშნული ხარვეზი გამოასწორა და შესაბამისობაში მოიყვანა სკოლის დოკუმენტაცია ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) მისია წარმოდგენილი იყო 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. თუმცა, დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული ხედვა. ვიზიტის მიმდინარეობისას, დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის მიერ შედგენილი მისია და ხედვა ახალი რედაქციით, რომელიც, შეესაბამებოდა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. ექსპერტებმა რჩევით მიმართეს სკოლას ხედვის ფორმულირებასთან დაკავშირებითაც, კერძოდ, ვინაიდან დაწესებულების ხედვა არ განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს და მასში არ არის ასახული, თუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ. ექსპერტებმა დაწესებულებას მიმართეს რჩევით: მოახდინონ სკოლის ფილოსოფიის რევიზირება, რათა დაწესებულების ხედვამ ასახოს ორგანიზაციის განვითარების ასპექტები 5-15 წლის პერსპექტივით. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის ფილოსოფიაში აქცენტირებულია ზრუნვა მოსწავლეთა გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ და სულიერ განვითარებაზე და თითოეული მოსწავლის პოტენციალის გამოვლენაზე. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
3. საერთაშორისო ქართულმა სკოლამ „ათინათი“ სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია შეიმუშავა და დაამტკიცა ვიზიტამდე ერთი დღის ადრე (სკოლის დირექტორის ბრძანება N6-13, 29.07.2024წ.). დოკუმენტის მიხედვით გაწერილი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში არ განხორციელებულა. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სკოლის ფილოსოფია ახალი რედაქციით და წერილში N3/58, 13.09.2024წ. აღწერა რევიზირების პროცესი, სადაც ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. ვინაიდან, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ექსპერტებს ახალი რედაქციით გადმოეგზავნათ ვიზიტის მიმდინარეობისას, შესაბამისად, ვერ დგინდება, თუ რამდენად გაზიარებულია სკოლის ფილოსოფია სასკოლო საზოგადოებისთვის - დაწესებულების მიერ არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ გაზიარების პროცედურების თუ მექანიზმების არსებობას. ასევე, დროის მცირე შუალედში დაწესებულება ვერ უზრუნველყოფდა მის წარდგენას სასკოლო საზოგადოებისთვის. ვინაიდან, სკოლის ფილოსოფია დაექვემდებარა რევიზირებას და პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება (წერილი N3/58, 13.09.2024წ.) შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. დაწესებულების ვებ. გვერდზე. ვხვდებით მხოლოდ სკოლის მისიას ძველი რედაქციით. დაინტერესებული პირისთვის ასევე არ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მითითებულია სკოლის ვებ. გვერდის განახლების ვადად - 2024წ. სექტემბერი. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც მანამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ სტანდარტს შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის რევიზირებული მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროობა.
6. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები დაინტერესდნენ, რა დაედო საფუძვლად დაწესებულების დასახელებას - შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათი. როგორც დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ტერმინი „საერთაშორისო“ სკოლის სახელწოდებაში განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ დაწესებულებაში ირიცხებოდნენ უცხო ქვეყნის მოსწავლეები. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საერთაშორისო ქართულმა სკოლა „ათინათის“ ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტამდე ერთი დღის ადრე დაწესებულებამ შეადგინა და დაამტკიცა სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (სკოლის დირექტორის ბრძანება N6-13,

29.07.2024წ.). არსებული დოკუმენტი მოიცავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებისთვის ხელმისაწვდომი იყო სკოლის მიერ შედგენილი 6 წლიანი გეგმა, რომელიც მოიცავდა 2016-2022 სასწავლო წლებს. შესაბამისად, სკოლას არ ჰქონდა შედგენილი 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის 7 წლიანი გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, ასევე, შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. დაწესებულების 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არ გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, ვინაიდან, სკოლას არ ჰქონდა შედგენილი 7 წლიანი გეგმა. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმიდან. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. დაწესებულების 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული შესრულების ინდიკატორები და აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური თუ ფინანსური რესურსები. 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, ასევე, არ შეიცავს ინფორმაციას შესრულების ინდიკატორების და აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური თუ ფინანსური რესურსების შესახებ. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საერთაშორისო ქართული სკოლა „ათინათის“ ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- 2023-2024 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმა;
- 2022-2028 სასწავლო წლების სტრატეგიული გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს (სკოლის დირექტორის ბრძანება N6-13, 29.07.2024წ.). ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
2. ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომ ახორციელებს სამოქმედო გეგმის (განხორციელების პერიოდი 2023 წლის სექტემბერი - 2024 წლის ივნისი) შესრულების მონიტორინგს და შეფასებას. ასევე, ვინაიდან მეთოდოლოგიური დოკუმენტის შედგენაც ვიზიტამდე ერთი დღით ადრე განხორციელდა, დაწესებულებამ ვერ განახორციელებდა მონიტორინგს დადგენილი წესის შესაბამისად. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წერილში N3/58, 13.09.2024წ. განმარტა, რომ 2024-2025 სასწავლო წელს განახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და შეფასებას სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებით. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.
3. სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები არ არის საჯარო. მათ შორის, სკოლის ვებ. გვერდიც არ მოიცავს მონაცემებს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ 2024-2025 სასწავლო წელს დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმების შედეგების გამოყენებას და მათ საჯაროობას სკოლის ვებ.

გვერდზე. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შედეგების საჯაროობა სკოლის ვებ. გვერდზე.

4. ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ფიქსირდება, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, ასევე, პასუხი აღნიშნულ კითხვაზე ექსპერტებმა ვერ მიიღეს ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დადებითად შეაფასონ ზემოაღნიშნული ინდიკატორი. დასკვნის პროექტში ასახული ექსპერტების მიერ დადგენილი ხარვეზის შესაბამისად, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმა, სადაც მითითებულია, რომ დაწესებულება ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შედეგების გამოყენებას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საერთაშორისო ქართული სკოლა „ათინათის“ ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- 2023-2024 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმა.
- 2022-2028 სასწავლო წლების სტრატეგიული გეგმა.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში, დაწყებითი საფეხური მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, მრჩეველი, მთავარი ბუღალტერი, მასწავლებელი, დამრიგებელი, საქმისწარმოების მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, სპეციალური მასწავლებელი/ფსიქოლოგი, ექთანი, სამეურნეო დარგის მენეჯერი, დარაჯი, დამლაგებელი, მთავარი მზარეული, მზარეულის თანაშემწე. აღნიშნული პირების ფუნქციები გაწერილია თანამშრომლებთან ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. ამასთან, სკოლას დამტკიცებული აქვს დებულება, სადაც განსაზღვრულია სკოლის საშტატო განრიგით დამტკიცებულ პირთა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების (საგნობრივი კათედრების და პედაგოგიური საბჭოს) ფუნქციები. სკოლის მიერ დამტკიცებულ დებულებაში არ არის გამიჯნული ექიმისა და ექთნის, აგრეთვე სპეციალური მასწავლებლისა და ფსიქოლოგის ფუნქციები. ამასთან, დებულებაში გათვალისწინებული ექთნის ფუნქციები არ შესაბამეობა „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით“ დადგენილ ექთნის კომპეტენციას.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია სკოლის დებულებაში გაიმიჯნოს სპეციალური მასწავლებლისა და ფსიქოლოგის, აგრეთვე ექიმისა და ექთნის ფუნქციები. ასევე, ექთნის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტის“ მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ექთნის კომპეტენციასთან. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

2. სკოლის დებულებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ფუნქციებსა და პასუხისმგებლობების განაწილებაში ჩანს პროცესების საგანმანათლებლო საქმიანობაზე ორიენტირება და ხელის შეწყობა. სკოლამ ასევე წარმოადგინა კათედრისა და დამრიგებლის დებულებები. დირექტორის ბრძანებებით დელეგირებულია უფლებამოსილებები ცალკეულ დასაქმებულებზე (მაგ: ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე, მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა). უფლებამოსილების დელეგირება და სტრუქტურული ერთეულების მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება ხელს უწყობს სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს „საერთაშორისო ქართული სკოლა „ათინათის“ დებულება;
- სკოლის საშტატო განრიგი და სტრუქტურა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- დამრიგებლის დებულება;
- კათედრის დებულება;
- პასუხისმგებელი პირების შესახებ ბრძანებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმების და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, შრომითი ურთიერთობის პირობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეჩერება, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები. შრომითი ხელშეკრულებები განსაზღვრავს დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლება-მოვალეობებს. შინაგანაწესი არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი, რაც დასტურდება ხელმოწერით. **რჩევა: სკოლამ მარეგულირებელ დოკუმენტებში ასახოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დამტკიცებულია მისი დებულება. წარმოდგენილი მასწავლებლის კითხვარების შინაარსი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გამოიკვეთოს მათი საჭიროებები. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობების ამსახველი მტკიცებულებები. თუმცა, როგორც სკოლის დირექტორმა განმარტა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით ისინი მიმართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს: მაგ: მასწავლებლის მიერ გაკვეთილის გაცდენის შემთხვევაში ხდება კათედრის სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება.

დაწესებულებას არ ჰქონდა საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული „პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“ და სამოქმედო გეგმა. ახალ წესში მითითებულია პერსონალის შერჩევის, საჭიროებების დადგენის, კვალიფიკაციის ამაღლების მარეგულირებელი ნორმები. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, დასაქმების გვერდზე ვაკანსიის გამოქვეყნებისას განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია. წარმოდგენილია ჩატარებული მასწავლებლის კონკურსის მასალები, რომელიც გამოცხადებული იყო teacherjobs.ge-ზე. პერსონალის შეჩვევის მიზნით, სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესი. სკოლამ წარმოადგინა „მასწავლებლის/თანამშრომლის ვაკანტური ადგილის დასაკვებლად კონკურსის ჩატარების წესი“. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის პერსონალის პირად საქმეებს დაკავებული პოზიციების მიხედვით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა სკოლის ბაზაში არსებული თანამშრომლების მონაცემები. შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის მაისის შემდეგ სკოლაში დასაქმებული პირების პირად საქმეებში არ არის განთავსებული უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, 2 დასაქმებულის პირად საქმეში არ იყო ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ. დაწესებულების მიერ აღნიშნული ცნობები წარმოდგენილი არ არის. როგორც სკოლის წერილიდან 3/58, 13.09.2023წ. დაწესებულების შესაბამისი თანამშრომლები სექტემბრის თვეში უზრუნველყოფენ საჭირო ცნობების წარდგენას სკოლაში. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც მანამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეფასდა როგორც „მეწტილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - მასწავლებლებმა უზრუნველყონ შესაბამისი ცნობების წარმოდგენა წერილში მითითებული ვადების გათვალისწინებით.

4. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო თანამშრომელთა ბაზას. სკოლაში დასაქმებულია 41 თანამშრომელი, მათგან 26 მასწავლებელია (17 უფროსი), 1 უფროსი სპეციალური მასწავლებელი, 2 მოწვეული მასწავლებელი (საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 1 საათს), 1 ე.წ. უსტატუსო მასწავლებელი, 3 გახანგრძლივებული ცვლის მასწავლებელი. სკოლას ჰყავს

დირექტორი, დირექტორის მოადგილე (2), დაწყებითი საფეხურის მენეჯერი, ბუღალტერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ფსიქოლოგი (იმავედროულად არის სპეციალური მასწავლებელი), საქმის წარმოების მენეჯერი, ექთანი, მზარეული, მზარეულის დამხმარე, დარაჯი (1), დამლაგებელი (1).

პირადი საქმეებისა და შრომითი ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დასაქმებული ერთი უსტატუსო და მოწვეული მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, სკოლაში დასაქმებულია მასწავლებელი, რომელიც არის სტუდენტი და არ აქვს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. სკოლას ამ ეტაპზე გამოცხადებული აქვს ღია კონკურსი აღნიშნულ თანამდებობებზე შესაბამისი კვალიფიციური კადრების შერჩევის მიზნით. სკოლამ წარმოადგინა კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანებები, თუმცა არ წარმოუდგენია კონკურსის ჩატარებისა და შესაბამისი კვალიფიციური კადრის შერჩევის დამადასტურებელი მტკიცებულება.

სკოლას ასევე არ ჰქონდა დადგენილი საკუთარი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის გამოც ვერ დგინდებოდა სხვა დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა „პერსონალის შიდა პოლიტიკის მართვის წესი“, სადაც გათვალისწინებულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შესაბამისად, დაწესებულება 2024-2025 სასწავლო წლისათვის უზრუნველყოფს დაწესებულებაში კვალიფიციური კადრების დასაქმებას და ინდიკატორი, რომელიც მანამდე შეფასებული იქნა როგორც „არ შეესაბამება“ შეფასდა, რომგორც „მეტწილად შეესაბამება“.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. თანამშრომლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე. კათედრებს სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრულია აქვთ სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს. სკოლაში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება, რომელთა ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გამოიკვეთა დასაქმებულთა ორგანიზაციული კულტურა და გუნდური მუშაობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლის შინაგანაწესის მე-18 მუხლით განსაზღვრულია დასაქმებულთა მიმართ წახალისების ფორმები:

- მაღლობის გამოცხადება;
- საპატიო სიგელით დაჯილდოება;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

- ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა

სკოლამ იყენებს წახალისების მექანიზმებს კერძოდ: დასაქმებულებს სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოეცხადათ მადლობა, ასევე რიგ შემთხვევებში გაცემულია ფულადი პრემია. **ინდიკატორი** აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ღია კონკურის ჩატარების ამსახველი ბრძანებები და საკონკურსო კომისიის ოქმი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- დასაქმებულთა პირადი საქმეები.
- წახალისების შესახებ ბრძანებები.
- ვაკანსიები გვერდი <https://teacherjobs.ge/>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დამტკიცებულია მისი დებულება. მათი აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებები სკოლას არ წარმოუდგენია. თუმცა, სკოლაში დანერგილია გაკვეთილზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რომლის შემდეგ ივსება გაკვეთილზე დაკვირვებისა და პედაგოგის შეფასების ფორმა. მასწავლებელი ფასდება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით და ეძლევა განმავითარებელი უკუკავშირი. კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების შედეგები განხილულია კათედრის სხდომაზე. პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად (მუხლი 8) განსაზღვრულია, რომ უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარდაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე. ამასთან, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, პერიოდულად უნდა მართავდეს შეხვედრებს სკოლის პერსონალთან (მასწავლებლებთან კათედრის ჭრილში, ასევე დირექციასთან და დამატებით პერსონალთან). დადგენილია, რომ აღნიშნულ შეხვედრებზე უნდა მოხდეს საჭიროებების გამოვლენა, მიმდინარე საქმიანობის ანალიზი და სამომავლო გეგმების განხილვა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში გათვალისწინებული ჰქონდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები, რომელთა შორისაა პედაგოგთა საჭიროებებისა და მათი პროფესიული განვითარებისათვის სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა. თუმცა, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლას არ წარმოუდგენია. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა (მუხლი 7, პუნქტი 3) ასევე ითვალისწინებთ ხარისხის მართვისა და პროფესიული

მხარდაჭერის ჯგუფის მიერ სკოლის პერსონალის საჭიროებისამებრ პროფესიული განვითარების და მხარდაჭერის გეგმის შემუშავებას. დასაქმებულთა პირადი საქმეებში განთავსებულია პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია - სერტიფიკატები, ცნობები, ტრენინგის გავლის დამადასტურებელი მტკიცებულებები. სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა პერსონალის მართვის პოლიტიკით გათვალისწინებული პერსონალის განვითარებისათვის საჭიროებების გამოვლენის მიზნით წინასწარ დამტკიცებული გეგმა. სკოლამ წარმოადგინა პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი. ასევე, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ნიმუში. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად კარიერული ზრდის თვალსაზრისით ძირითადად განსაზღვრულია ტრენინგებში მონაწილეობა, ურთიერთგამოცდილების გაზიარება, პროფესიული განვითარების მიზნით, პერსონალის მიერ შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, ხარისხის ჯგუფის ხელშეწყობით. მასწავლებლები ახორციელებენ გაკვეთილზე ურთიერთდასწრებას, რომლის შედეგადაც მასწავლებელს ეძლევა უკუკავშირი. კათედრის წევრები საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებენ კათედრის სხდომებზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

4. სკოლის მიერ დამტკიცებულ პერსონალის მართვის პოლიტიკაში განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებები. კერძოდ: სკოლა თანამშრომელს აცნობს და გადასცემს სკოლის შინაგანაწესს, განუმარტავს ფუნქცია-მოვალეობებს, გადასცემს თანამდებობრივ ინსტრუქციას და აცნობს უსაფრთხოების წესებს. ახალმიღებულ თანამშრომელს აქვს ყველა საშუალება ისარგებლოს სკოლის ნებისმიერი რესურსით, იგი ეცნობა სკოლაში დამკვიდრებულ ტრადიციებს და თემის სპეციფიკას, რაც ხელს უწყობს მის სწრაფ ინტეგრაციას სასკოლო გარემოში. სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთდახმარების და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა.

რჩევა: სკოლამ პერსონალის მართვის პოლიტიკაში დეტალურად განსაზღვროს როგორც თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები, ისე, ადაპტაციის ეტაპზე სხვა თანამშრომელთა ვალდებულებები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად, პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანსა და ამოცანას პერსონალის ინოვაციების წახალისება წარმოადგენს. მე-9 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია, რომ პერსონალის მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია პერსონალის მოტივაციის ამაღლებისაკენ და პროფესიულ განვითარებაში პერსონალის დაინტერესებულობის გაზრდისკენ. აქვე განმარტებულია, რომ

სკოლა უფლებამოსილია პერსონალის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება და ფულადი პრემიის გაცემა. აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება სკოლის დირექტორის 2021 წლის 1 სექტემბრის N6-16 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესით დადგენილ წახალისების ფორმებს, სადაც ასევე გათვალისწინებულია: საპატიო სიგელით დაჯილდოება და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. წახალისებულია დასაქმებულათა ინიციატივები. ამ მიზნით გამოცემულია დირექტორის ბრძანებები მადლობის გამოცხადებისა და ფულადი პრემიის გაცემის შესახებ. **რჩევა: სკოლამ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს პერსონალის მართვის პოლიტიკასა და სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებული წახალისების ფორმები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ურთიერთდასწრების ფორმები.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას 2024 წლის 11 მარტის N6-04 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლითაც გათვალისწინებულია ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმების განხორციელება. განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მისი ვალდებულებები, აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შეფასება. რჩევა: საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პროცესში პროცესული მიდგომისა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრულყოფის მიზნით, სკოლამ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გაითვალისწინოს დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმებისა და განვითარების დეტალური პროცესები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში აღწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის მმართველობით პროცესში მოიაზრება სკოლის საქმიანობის დაგეგმვა და კონტროლი. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება (სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა).

ძირითად პროცესში-კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ხოლო დამხმარე პროცესები ხელს უწყობს ძირითადი პროცესების წარმართვას - სასწავლო პროცესის სრულფასოვან განხორციელებას. ასევე განსაზღვრულია ამ პროცესების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 31 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის უფლებების დაცვის მიზნით გასაჩივრების წესი“, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში სკოლის დირექტორისათვის მიმართვისა და განხილვის პროცედურას. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლაში 12 ივნისს მომხდარი ინციდენტის შემდეგ. შესაბამისად, ინციდენტის დროს სკოლაში არ არსებობდა გასაჩივრების რაიმე მექანიზმი. არც მოგვიანებით გამოცემულ სამართლებრივ აქტში არ არის გათვალისწინებული თანამშრომლების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესი. სკოლაში არ ჰქონდა შემუშავებული თანამშრომლების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლამ წარმოადგინა „საჩივრის განხილვის წესი“, ასევე დისციპლინური კომიტეტის შექმნის ბრძანება. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და მათზე რეაგირების მექანიზმები. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, სკოლის შინაგანაწესის გაცნობით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- მოსწავლის უფლებების დაცვის მიზნით გასაჩივრების წესი;
- სკოლის შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სხვადასხვა საშუალებებით. სკოლის ფოიეში გამოკრულია შინაგანაწესი. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, სადაც თავსდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ძირითადად ინფორმირება ხდება უშუალო კონტაქტით. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, სადაც აცნობენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მარეგულირებელ დოკუმენტებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, შინაგანაწესს, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტებისა და ექსკურსიების შესახებ, იხილავენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ პრობლემებს და სთავაზობენ პრობლემის გადაჭრის გზებს. სასწავლო წლის განმავლობაში მშობელთან კომუნიკაციისთვის სკოლა აგრეთვე ეფექტურად იყენებს სკოლის ელექტრონულ ჟურნალს Schoolbook-ს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები - პედაგოგიური საბჭო და საგნობრივი კათედრები. მათი ფუნქციები გაწერილია სკოლის დებულებაში და კოლეგიური ორგანოების დებულებებში. ყველა პედაგოგი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. კათედრები მუშაობენ წინასწარ განსაზღვრული სამუშაო გეგმის მიხედვით. კოლეგიური ორგანოების წევრები

აფიქსირებენ საკუთარ აზრს და შესაძლებლობა აქვთ გასცენ სხვადასხვა რეკომენდაციები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სკოლის დებულება;
- კათედრის დებულება;
- კათედრის ოქმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის

ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ტერიტორია არის შემოსაზღვრული. ეზოს მთავარ შესასვლელში დამონტაჟებულია რკინის კარები. ეზოში შესვლა ასევე შესაძლებელია საპირისპირო მხრიდან, საფეხმავლო ბილიკის საშუალებით, რომელიც მიუყვება მცირე ზომის ხევს. ხევი არის ნაგვითა და სხვადასხვა სახის ნარჩენებით დაბინძურებული, რამაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას მოსწავლეების უსაფრთხოებას. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა განმარტეს, მოსწავლეები სარგებლობენ ცენტრალური შესასვლელით, თუმცა არ უარყოფენ, რომ ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ისარგებლონ სათადარიგო შემოსასვლელითაც. სკოლის ტერიტორიაზე სათადარიგო რკინის კარის ღია მდგომარეობაში არსებობა და მისით სარგებლობა საფრთხეს უქმნიდა მოსწავლეების ფიზიკური უსაფრთხოების სრულყოფილად დაცვას. სკოლამ წარმოადგინა ფოტომასალა, საიდანაც ჩანს რომ სათადარიგო რკინის კარი არის დაკეტილი იმგვარად, რომ მოსწავლეები ვერ ისარგებლებენ მისით.

სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 01 სექტემბრის N6-15 ბრძანებით დამტკიცებული „ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“. აღნიშნული წესი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე-6 პუნქტის

საფუძველზე, შემუშავებამდე საჭიროებდა შეთანხმებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. შესაბამისად, სკოლას არ აქვს დამტკიცებული სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა წერილი რომლითაც დგინდება, რომ ზემოაღნიშნული მექანიზმები შესათანხმებლად წარედგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახლაგაზრდობის სამინისტროს, თუმცა შეთანხმების დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის. სკოლას ასევე არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და არ არის დამტკიცებული საგანგებო შტაბი. სკოლის მიერ წარმოდგენილ წერილში აღნიშნულია, რომ „მიმდინარეობს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების პროცედურა“, თუმცა დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის.

სკოლას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს რისკების შეფასებასა და მართვას, უბედური შემთხვევების მოკვლევის მექანიზმებს, საგანგებო სიტუაციების დროს ევაკუაციას, ინციდენტების კონტროლსა და სხვა. სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სამსახურთან (BSA). ასევე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სკოლამ 2024 წლის 4 ივლისს მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს. 2022 წელს სკოლა აღიჭურვა კვამლზე რეაგირების დეტექტორებით, ხოლო სკოლის შენობაში არსებული წვადი მასალისაგან დამზადებული ჭერი შეიცვალა ცეცხლგამძლე მასალით. ასევე, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მომზადების მიზნით 2024 წლის 8 ივლისს განცხადებით მიმართა შპს „რეალექსპერტს.“ სკოლაში დამონტაჟებულია 11 ვიდეო სათვალთვალო კამერა (4 გარე და 7 შიდა პერიმეტრზე).

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში სამუშაო მაგიდა არ იყო აღჭურვილი მჟავა და ცეცხლგამძლე საფარით. წარმოდგენილია შესაბამისი ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება, რომ სამუშაო მაგიდა აღიჭურვა მჟავა და ცეცხლგამძლე საფარით. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს ექთანი. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, თუმცა დათვალიერებისას დადგინდა, რომ ადგილზე არ იყო კისრის ფიქსატორი და ინჰალატორი. სკოლამ წარმოადგინა კისრის ფიქსატორისა და ინჰალატორის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტომასალა. ასევე, სკოლის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მედიკამენტების შეძენა ძირითადად ხდება პირადი სახსრებით მათ მიერვე. ექთანი არ აწარმოებს 2022 წლის 21 მარტის №41/5/01-23/5 ბრძანებით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო ჟურნალებს. სკოლამ წერილობით განმარტა, რომ 2024-2025 სასწავლო წლიდან დაიწყებს ჟურნალის წარმოებას. როგორც უკვე აღინიშნა,

დაწესებულებაში მიმდინარე წლის 12 ივნისს მომხდარი ინციდენტის დროს მე-2 კლასის მოსწავლეს დასვენებაზე თამაშისას (განმცხადებელი მოსწავლეთა თამაშს აღწერს როგორც „ჩაჩეხვა“), თანაკლასელთან შეჯახების შედეგად, დაუზიანდა ზედა კიდური - დაფიქსირდა მოტეხილობა და საჭირო გახდა ქირურგიული ოპერაცია (პირველი მოტეხილობა ჰქონდა 6 თვით ადრე და ასევე დასჭირდა ოპერაცია). როგორც მოსწავლის კლასის დამრიგებელთან საუბრებისას გამოიკვეთა, ინციდენტის დროს, დასვენებაზე, იგი არ იმყოფებოდა თავის კლასთან. ასევე, სკოლის მიერ დადგენილი მორიგეობის განრიგის შესაბამისად, შემთხვევის დროს დერეფანში არ იყო მორიგე მასწავლებელი. დაწესებულების მიერ შედგენილი დოკუმენტის „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“ თანახმად, მწვავე სამედიცინო პრობლემის არსებობის შემთხვევაში, როდესაც მოცდის საშუალება არ არის, სკოლის დირექცია უფლებამოსილია შეუძლოდ მყოფ პირს არსებული რესურსის გამოყენებით შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩინოს მხოლოდ და მხოლოდ პირველადი მარტივი სამედიცინო დახმარება, რომლის გადადებაც მდგომარეობის გართულების აშკარა საშიშროების გამო დაუშვებელია, დარეკოს 112-ზე და გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა (რაც, აღნიშნულ შემთხვევაში, არ განხორციელდა). ასევე, სკოლის სქემატურად წარმოდგენილი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურა ითვალისწინებს პირველად დახმარებას და სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენას მშობელთან დაკავშირებამდე. თუმცა, ვინაიდან მშობელთან სატელეფონო კომუნიკაციისას მან აღნიშნა, რომ იმყოფებოდა დაწესებულებასთან ახლოს და მალევე გამოცხადდა სკოლაში, სწორედ ამან განაპირობა სკოლის მხრიდან შესაბამისი რეაგირება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად, სკოლის ექთნის კომპეტენციაა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების დროს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ, ჩაატაროს საჭირო მანიპულაციები და საჭიროების შემთხვევაში, გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო

პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ საფუძველზე შემუშავებული „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“. სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული „სამედიცინო დახმარების წესი“.

სკოლა არ იცავს საკუთარ რეგულაციას, რომლის საფუძველზეც მოცემულ შემთხვევაში ევალუბოდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება, ასევე პირველადი სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინა სკოლის ექთანმა და დახმარება გაუწია კლასის დამრიგებელმა. სკოლის დამრიგებელი არ არის უფლებამოსილი პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიოს მოსწავლეს, ვინაიდან ეს სცდება მის კომპეტენციას და ამას, შესაძლებელია, კიდევ უფრო გაემწვავებინა მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა. ამასთან, სკოლას არ ჰყავს კვალიფიციური ექიმი (№41/ნ/01-23/ნ, 21.03.2022წ., ბრძანებით დადგენილი ნორმების მიუხედავად - ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია სკოლის ექიმი ჩანაცვლდეს ექთნით). დაწესებულებას ბოლო წლების განმავლობაში არ გამოუცხადებია ვაკანსია ექიმის თანამდებობაზე და შესაბამისად, ვერ დგინდება, სახეზეა თუ არა საკადრო დეფიციტი. სკოლამ წარმოადგინა ექიმის კონკურსის ჩატარების დამადასტურებელი მტკიცებულებები. კერძოდ: კონკურსის ჩატარების ვადებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ, ასევე ბრძანება კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ, თუმცა აღნიშნული წესი წარმოდგენილი არ არის. საკონკურსო კომისიის ოქმით დგინდება, რომ გასაუბრებაზე გამოცხადებულმა ორივე კონკურსანტმა მიიღო თანაბარ ქულათა რაოდენობა, თუმცა რა კრიტერიუმების საფუძველზე შეფასდნენ კანდიდატები ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე ვერ დგინდება. შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ვერ მოხდა შეთანხმება ანაზღაურებასა და სამუშაო საათებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლაში დადგენილია მორიგეობის გრაფიკი, განსაზღვრულია შენობაში და მის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და თამბაქოს მოხმარების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, ასევე უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი. დამტკიცებულია თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესი. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი განსაზღვრავს, რომ იგი მოიცავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს და მისი მიზანია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. 12 ივნისის ინციდენტთან დაკავშირებით მთავარი აქცენტი ექსპერტების მხრიდან გაკეთდა პრევენციულ ღონისძიებებზე, რომელთა უზრუნველყოფას, შესაძლებელია, აერიდებინა თავიდან მოსწავლის ფიზიკური

დაზიანება. კერძოდ, როგორც მშობელი განცხადებაში აღნიშნავს, სკოლა ინფორმირებული იყო მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები უნდა გაეტარებინა. პირველ რიგში, ეს ეხებოდა მოსწავლეთა თამაშის ფორმას, რომელსაც, პოტენციურად, შესაძლოა გამოეწვია ნებისმიერი მოსწავლის ფიზიკური დაზიანება - ადგილზე. ამასთან, დადგინდა რომ ინციდენტის დროს ადგილზე არ იყო მორიგე მასწავლებელი და დამრიგებელი. დამრიგებლის და მორიგე მასწავლებლის ყოფნას, შესაძლებელია თავიდან აერიდებინა ინციდენტი. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც იმავდროულად არის ფსიქოლოგი. გასაუბრებით დადგინდა, რომ იგი თავის საქმიანობას ახორციელებს კვირაში ორჯერ. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლის ფსიქოლოგის ძირითადი მოვალეობაა სსსმ-მოსწავლეების მომსახურება და იგი ინდივიდუალურ კონსულტაციებს მოსწავლეებს არ უწევს. როგორც ინციდენტის დროს დაშავებული მოსწავლის დამრიგებელთან და დირექტორის მოადგილესთან ინტერვიუებისას დგინდება, ისინი ინციდენტის შემდეგ მუდმივ კომუნიკაციაში იყვნენ მოსწავლის მშობელთან და ფლობდნენ ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლე სხეულის დაზიანების შემდეგ სკოლაში არ გამოცხადებულა, შესაბამისად, არ/ვერ შესთავაზებდნენ ფსიქოლოგის მომსახურებას. მოსწავლეთა ფსიქოემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია და განსაზღვრული არ იყო რეფერირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. ასევე არ იყო თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული სახალხო დამცველის, 112-ის, სკოლის ფსიქოლოგის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ნომერი. ასევე, სკოლის ფსიქოლოგი შესაბამისი მომსახურებას, საჭიროების შემთხვევაში არ უწევდა სკოლის ყველა მოსწავლეს. სკოლამ წარმოადგინა რეფერირების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება და დამტკიცებული „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“. თვალსაჩინო ადგილზე გამოიკრა სახალხო დამცველის, 112-ის, სკოლის ფსიქოლოგის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ნომერი. ასევე წარმოდგენილია ფსიქოლოგის სამუშაო გრაფიკი 2024-2025 სასწავლო წლისთვის, სადაც გათვალისწინებულია მისი მუშაობა არა მარტო სსსმ მოსწავლეებთან, არამედ სხვა მოსწავლეებთანაც. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მოწოდებული ფოტომასალაც. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას უზრუნველყოფს დამლაგებლებისა და სანიტარული რესურსების გამოყენებით. სკოლაში საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 2 საშტატო ერთეული. (1 ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებული იყო კონკურსი) იმის გათვალისწინებით, რომ ვერ განხორციელდა გასაუბრება დამლაგებელთან ვერ დადგინდა ფლობს თუ არა ინფორმაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების („წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“) შესაბამისად დალაგების პირობების თაობაზე. მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში გაწერილია შესაბამისი ვალდებულებები. სკოლის ექთანი ზედამხედველობს სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის, სსსმ მოსწავლეებისთვის. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ურნა). ექთანი ზედამხედველობს სასკოლო სასადილოს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობას. როგორც სკოლაში განმარტეს, პერიოდულად სასადილოს შემოწმება ხდება სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. წარმოდგენილია მასწავლებლის თანხმობა, მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. სკოლას პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები გაწერილი აქვს აგრეთვე მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლა ამუშავებს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, როგორიცაა სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, მისამართი, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, გამოსახულება და სხვა. მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, თუმცა სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, ასევე არ ჰყავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. წარმოდგენილია სკოლის მიერ დამტკიცებული პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა. პერსონალური მონაცემების დაცვის წესში აღწერილია თუ რომელი მონაცემები მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, ასევე, მათი დამუშავების წესი და დეტალურად არის წარმოდგენილი მონიტორინგის მექანიზმები. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შესაბამება“.

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

7. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. კომპიუტერებში ჩაწერილია ანტივირუსული პროგრამები. სკოლა იყენებს ლიცენზირებული პროგრამა/ვებგვერდებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

8. სკოლის მიერ დამტკიცებული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების შესაბამისად, სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები, თუმცა რაიმე დამატებითი კონკრეტული მექანიზმი და შეფასების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამდენად, სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის არ ხორციელდება. თუმცა, დაწესებულებას არგუმენტირებულ პოზიციაში აღწერილი აქვს, რომ გეგმავს 2024-2025 წლის განმავლობაში გეგმავს უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდულ შეფასებას და შედეგების შესაბამისად, მათ გაუმჯობესებას. ინდიკატორი რომელიც შეფასებული იყო როგორ „არ შეესაბამება“ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდულ შეფასებას და შედეგების შესაბამისად, მათი გაუმჯობესება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში წარდგენილი წერილი;
- შპს „რეალექსპრესს“ გაგზავნილი წერილი;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი;
- ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები;
- ბრძანება შენობაში და მის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და თამბაქოს მოხმარების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ;
- თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესი;
- ექთნის შრომითი ხელშეკრულება;

- პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს საერთაშორისო ქართული სკოლა „ათინათი“ მდებარეობს ქ. თბილისში მერაბ ალექსიძის. ქუჩის II შესახვევი N4. სკოლის შენობა საკუთრებაში გადაცემულია აუქციონის საფუძველზე და დასტურდება ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის

იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს საკუთრების დამადასტურებელი N681 მოწმობით. საჯარო რეესტრის ამონაწერითა და საკუთრების მოწმობით დგინდება, რომ სკოლის საკუთრებაშია შენობის პირველ სართულზე არსებული 435.31 კვ.მ და სხვენის სართულზე მდებარე 320.24 კვ.მ ფართები (შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთით). რაც შეეხება შენობის დანარჩენ ფართს, იგი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს და განთავსებულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. (ვიზიტის დროს მომდინარეობდა სარემონტო სამუშაოები). სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია 7 საკლასო ოთახი (VII-XII კლასები), სასადილო, სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის. (სველ წერტილებში ჭერის სიმაღლე არის იმდენად დაბალი, რომ შესვლა შესაძლებელია მხოლოდ მოხრილ მდგომარეობაში). სკოლაში ასევე არის ადაპტირებული სველი წერტილი, ექთნის ოთახი, დირექციის ოთახები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, დამხმარე სივრცე. სხვენის სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, მენეჯერის ოთახი, სველი წერტილები, კომპიუტერული ლაბორატორია, მცირე ზომის სპორტული დარბაზი. სხვენის სართულზე არსებული საკლასო ოთახების ჭერი არის ნახევარად დახრილ მდგომარეობაში. საკლასო ოთახებს აქვთ ბუნებრივი განათება. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია სამკითხველო სივრცე. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სადაც განთავსებულია კარადები. ლაბორატორიაში არის ონკანი. **ლაბორატორია არ იყო აღჭურვილია ამწოვი კარადით. წარმოდგენილია ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აღიჭურვა ამწოვი კარადით.** გამოკრულია უსაფრთხოებისა და ლაბორატორიაში მუშაობის წესები. ლაბორატორიაში განთავსებულია ლაბორატორიული ჭურჭელი, მულაჟები, ხელსაწყოები, სხვადასხვა სასწავლო რესურსი. რაც შეეხება ქიმიური რეაქტივებს, მცირე რაოდენობით შენახული იყო პერსონალის სამუშაო ოთახში. სკოლაში არის კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერები, 2 სმარტ მონიტორი. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, კომპიუტერული ტექნიკა შეძენილია დიდი ხნის წინ და მათი შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინეს. **ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“** ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიის გამოყენების წესი და ბიბლიოთეკის დებულება. სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის

ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. ბიბლიოთეკაში განთავსებულია, როგორც დამხმარე და მხატვრულ ლიტერატურას, ასევე სახელმძღვანელოები, ილუსტრირებული მასალები და პერიოდულ გამოცემები (სკოლა თანამშრომლობს „ახალ განათლებასთან). როგორც სკოლის ბიბლიოთეკარმა სატელეფონო ინტერვიუებისას აღნიშნა, სკოლაში არის 3000-ზე მეტი წიგნი. წიგნები დამუშავებულია დადგენილი წესით. სკოლას წიგნების შესახებ ინფორმაცია განთავსებული აქვს ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემა OPEN BIBLIO-ზე. გადამოწმებით დადგინდა, რომ ატვირთულია ინფორმაცია 2354 წიგნის შესახებ. ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები და ტელევიზორი. სკოლას დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც ითვალისწინებს რესურსის გატანა-დაბრუნების მარეგულირებელი ნორმებს, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესებს, მუშაობის განრიგს, ბიბლიოთეკარის ფუნქციებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესსა და სხვა.

რჩევა: სკოლამ განაახლოს წიგნადი ფონდი და შეავსოს ახალი გამოცემებით. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლას ჰყავს 4 სსსმ მოსწავლე, რომელთათვისაც სრულადაა ხელმისაწვდომია არსებული სასკოლო სივრცე და რესურსები. მოსწავლეებს სრულად აქვთ შესაძლებლობა ისარგებლოს ნებისმიერი რესურსით. **სკოლას არ აქვს რესურსოთახი. სკოლის რესურსოთახი და ბიბლიოთეკა ერთ სივრცეს წარმოადგენს.**, თუმცა სპეციალურ მასწავლებელ/ფსიქოლოგს აქვს შესაბამისი სასწავლო რესურსი და ინვენტარი. სკოლის განმარტებით ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ოქტომბრის თვეში დაგეგმილია რესურსოთახის კეთილმოწყობა. სკოლაში არის ადაპტირებული სველი წერტილი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პირველ სართულზე და სხვენის (მესამე სართულზე) სართულზე, **თუმცა სკოლას არ ჰქონდა სხვენში (სადაც განთავსებულია დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახები) ასასვლელი პანდუსი.** სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალით დასტურდება, რომ დამონტაჟდა მესამე სართულზე ასასვლელი პანდუსი. რესურსოთახის მოწყობა იგეგმება მიმდინარე სასწავლო წელს, აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის განხილვის საფუძველზე. **ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

5. მიუხედავად სკოლაში ფართის სიმცირისა, სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს შიდა კეთილმოწყობილი და დაცული ეზო, სპორტული მოედანი, სადაც იმართება აქტივობები. შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებსა და დასაქმებულებს საშუალება აქვთ დაისვენონ როგორც სასკოლო სივრცეში არსებულ გარემოში, ისე ეზოში. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური,

შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. მოსწავლეები სარგებლობენ ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ლაბორატორიით. სხვებში არსებული სივრცის ნაწილს მოსწავლეები იყენებენ სპორტულ დარბაზად. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ლაბორატორიით გამოყენების წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. სულ სკოლაში არის 15 კომპიუტერი, მათგან 6 კომპიუტერი განთავსებულია IT ლაბორატორიაში, ხოლო 5 კომპიუტერი ბიბლიოთეკაში. სკოლაში არის ასევე პრინტერი 3 ცალი, 2 სმარტ მონიტორი. კომპიუტერით უზრუნველყოფილია სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბიბლიოთეკარი, საქმისწარმოების მენეჯერი. სკოლაში დასაქმებულ პირები სარგებლობენ პირადი ლეპტოპებით. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. საგაკვეთილო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსწავლეებსა და დასაქმებულებს. სკოლას დამტკიცებული აქვს ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება), სადაც გათვალისწინებულია IT ლაბორატორიით სარგებლობის წესები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება);
- დომენით სარგებლობის დამადასტურებელი საგადახდო დავალება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად და დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. სკოლაში არის შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი, სკოლის დირექტორის საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, მოსწავლეთა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან დადებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი, სხვა სახის ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი (ბუღალტრული დოკუმენტების), საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია და დანომრილია დადგენილი წესით. საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს საქმის წარმოების მენეჯერი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა სარგებლობს მართვის საინფორმაციო სისტემით (eSchool), სადაც ასახულია მოსწავლეების, დასაქმებულებისა და მშობლების შესახებ ინფორმაცია. ასევე აქტიურად გამოიყენება schoolbook-ის ელექტრონული სისტემა, თუმცა სკოლაში არ ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლა არ სარგებლობდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დგინდება, რომ 2024 წლის 6 აგვისტოს სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემსთან“, ასევე შევიდა ცვლილება საქმისწარმოების წესში, რომლის საფუძველზეც დგინდება, რომ სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული სისტემის საშუალებით. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება.“

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილზე. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი,

საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. ანგარიშგებისა და ინფორმაციას მიწოდების მიზნით სკოლა თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, მართვის საინფორმაციო სისტემასთან და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ სხვა უწყებებთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი;

სარეგისტრაციო ჟურნალები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი (<https://skolaatinati.ge/>) და სოციალური ქსელის გვერდი (<https://www.facebook.com/profile.php?id=100042138415546>), რომლებსაც სკოლა იყენებს ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნით. ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები და სიახლეები, ხოლო სოციალურ ქსელში ასახულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობებისა და პროექტების შესახებ. სკოლა მშობლებთან კომუნიკაციას აქტიურად იყენებს ელექტრონულ პლატფორმას schoolbook-ს და სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებს. შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ხდება მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია, რომელიც უნდა გავრცელდეს სოციალური ქსელისა და დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექციასთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის ვებ-გვერდისა და ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით ჩანს, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია კერძოდ: სკოლის საქმიანობის ამსახველი ძირითადი და სავალდებულო დოკუმენტები, ინფორმაცია აკადემიური პროგრამების, მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებების, სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ, არის სანდო და უტყუარი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა იყენებს გამოკითხვის მეთოდს. აღნიშნული დადასტურდა მოსწავლეებთან ინტერვიუების დროსაც. მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს უკუკავშირის მიღების გამოცდილება, რასაც იყენებს შემდგომი საქმიანობის დასაგეგმად. აღნიშნა, რომ მათი სურვილები და ინტერესები სკოლის მხრიდან მაქსიმალურადაა გაზიარებული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
4. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
5. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია მისია, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, საკონტაქტო ინფორმაცია. თუმცა არ არის განთავსებული ხედვა, ღირებულებები, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და

სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები. როგორც სკოლამ წერილობით განმარტა მიმდინარეობს ვებ-გვერდის რეორგანიზაცია და ამ მიზნით გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. როგორც დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მითითებულია სკოლის ვებ. გვერდის განახლების ვადად - 2024წ. სექტემბერი. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც მანამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ სტანდარტს შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს დადგენილ ვადებში ვებ. გვერდზე ინფორმაციის სრულად განთავსება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- <https://skolaatinati.ge/>
- <https://www.facebook.com/profile.php?id=100042138415546>

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შემოსავლები ძირითადად მოიცავს მოსწავლეების მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სწავლის საფასურსა და ვაუჩერულ დაფინანსებას. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებული **ხარჯთაღრიცხვა**, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლები და ხარჯები, თუმცა სკოლის დებულებით (მუხლი 31) განსაზღვრულია, რომ სკოლის ყველა შემოსავალი და ხარჯი უნდა აისახოს მის ბიუჯეტში, თუმცა სკოლას დამტკიცებული ბიუჯეტი არ წარმოუდგენია. სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმით სასწავლო წლის განმავლობაში გათვალისწინებული იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისა და აღჭურვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარება, კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება ასევე სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსით, საოფისე და სასწავლო ინვენტარით, მედიკამენტების შეძენა და სხვა, თუმცა 2020 წლის შემდეგ სკოლაში აღარ განხორციელებულა ინვენტარის, მედიკამენტების და სხვა რესურსის შეძენა. ვიზიტის დროს სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება მცირე კოსმეტიკური სამუშაოების ჩატარება, თუმცა დამტკიცებული „ხარჯთაღრიცხვა“-ში არ არის გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდებოდა, რომ სკოლის ფინანსური რესურსი სრულად ვერ უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულებას. სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტი. წარმოდგენილია 2024-2025 სასწავლო წლის დამტკიცებული ბიუჯეტი, ფინანსური საქმიანობის შედეგები. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯები და შემოსავლები, რომლებიც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

2. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს მთავარი ბუღალტერი, ხოლო სკოლის დირექტორი განკარგავს თანხებს სკოლის ბიუჯეტის შესაბამისად. სკოლას არ წარმოუდგენია დამტკიცებული ბიუჯეტი. დამტკიცებულია ამასთან წარმოდგენილია სკოლის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების ამსახველი დოკუმენტი, თუმცა აღნიშნული დოკუმენტაცია მოიცავს 2019, 2020 წლების შესახებ ინფორმაციას. როგორც ინტერვიუებისას გამოიკვეთა ფინანსური რესურსების მართვის მონიტორინგს სკოლაში ახორციელებს დირექცია. სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) მექანიზმები. წარმოდგენილია დამტკიცებული ფინანსური

მართვისა და კონტროლის სიტემის დანერგვისა და შეფასების წესი, ასევე 15 აგვისტოს მდგომარეობით არსებული ხარჯთაღრიცხვა. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

რჩევა: სკოლის ბუღალტერმა კალენდარული წლის ბოლოს წარუდგინოს სკოლის დირექტორს ფინანსური ანგარიში. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარჯთაღრიცხვა;
- ფინანსური საქმიანობის შედეგები;
- ინფორმაცია ფინანსური საქმიანობის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შიდა რეგულაციით დამტკიცებული აქვს „მოსწავლით კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმები“ (დირექტორის ბრძანება N6-15, 01.09.2023წ.). ზემოაღნიშნული დოკუმენტის პირველი მუხლის პირველი ქვეპუნქტის თანახმად, მოსწავლეთა უფლებების დაცვის ეფექტური განხორციელებისთვის შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათი ქმნის მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელ კომისიას, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის, დამრიგებლებისა და ფსიქოლოგის შემადგენლობით. კომისიას ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება წარმოადგინა კომისიის დაკომპლექტების შესახებ ბრძანება, მათ ვერ წარმოადგინეს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ კომისია რეალურად ეწევა საქმიანობას, რომლებიც მოსწავლეთა უფლებების დაცვისკენ იქნებოდა მიმართული. შესაბამისად, არ გამოიკვეთა, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესები უზრუნველყოფდა მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება დისციპლინური კომიტეტის შექმნის შესახებ, რომლის საქმიანობა უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლის დირექტორის ბრძანებით N6-15, 31.08.2024წ. თარიღდება მოსწავლის უფლებების დაცვის მიზნით გასაჩივრების წესი, ასევე, საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის საჩივრის განხილვის წესი. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“ ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის ვებ. გვერდზე წარმოდგენილია შინაგანაწესი, რომლის გაცნობის ვალდებულება აქვს როგორც სკოლაში დასაქმებულ ადამიანებს, ასევე, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. შესაბამისად, ის ხელმისაწვდომი ყველა

დაინტერესებული პირისთვის და შეიცავს ინფორმაციას მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ შედგენილ ხელშეკრულებაში, რომლებიც გაფორმებულია მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, დეტალურად არის გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე ვალდებულებები. ხელშეკრულების მე -9 მუხლი არეგულირებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლით კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმები - დირექტორის ბრძანება N6-15, 01.09.2023წ.;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს ჩარიცხვის, საფეხურის დამღევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები (2023 წლის 01 სექტემბრის 6-15 ბრძანება), თუმცა, ზემოაღნიშნული რეგულაცია არ მოიცავს მონაცემებს მოსწავლეთა მობილობის მექანიზმების შესახებ. გარდა ამისა, უზუსტობა ფიქსირდება პირველ კლასში რეგისტრაციისათვის განსაზღვრული ასაკის შესახებ, კერძოდ, დოკუმენტის თანახმად, პირველ კლასში რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს იმ მოსწავლისათვის, რომელსაც შესრულებული აქვს 6 წელი 31 ოქტომბრის ჩათვლით (მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ასაკობრივი შეზღუდვა, 2024-2025 სასწავლო წლისთვის, მოიცავს 31 ნოემბრის ჩათვლით პერიოდს). არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მობილობის და პირველ კლასში რეგისტრაციის შესახებ. შესაბამისა, ინდიკატორი რომელიც მანამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეფასდა როგორც „შეესაბამება“.
2. ექსპერტები ვიზიტის პერიოდში გაეცნენ სკოლის დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იყო მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დამღევის ფარგლებში და დარწმუნდნენ, რომ პროცესები კანონით დადგენილი წესით ხორციელდება. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
3. დაწესებულებამ 2023-2024 სასწავლო წელს მოსწავლეებს შესთავაზა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება ცეკვის სახით, აღმოსავლური ორთაბრძოლების (ტაეკვანდოს) წრე, ასევე, გახანგრძლივებული სწავლება. თუმცა, ინფორმაცია მათ შესახებ არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი - არ ფიქსირდება დაწესებულების ვებ. გვერდზე - სასკოლო-სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ, მოიცავს ინფორმაციას 2021-2022 სასწავლო წლის შესახებ. როგორც დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მითითებულია სკოლის ვებ. გვერდის განახლების ვადად - 2024წ. სექტემბერი. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც მანამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ სტანდარტს შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება სკოლის ვებ. გვერდზე.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების და რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული, რაც დადასტურდა ინტერვიუების პროცესში სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები (დირექტორის 2023 წლის 01 სექტემბრის 6-15 ბრძანება);
- სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია - ბრძანებები მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დაძლევის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის ახალ მოსწავლეთა სკოლაში მიღების დებულება (ბრძანება N6-16, 01.09.2021წ.). როგორც ზემოაღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, მისი მოქმედება ვრცელდება სკოლის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე, კლასის დამრიგებლებზე, სკოლის ფსიქოლოგზე და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ჩართულ ყველა დასაქმებულზე. ვიზიტის დროს, ექსპერტებმა მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუების პროცესში დაადგინეს, რომ აღნიშნული პროცესები დაწესებულებაში ეფექტურად ხორციელდება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და საზოგადოებასთან. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში ხდება ისგ ჯგუფების შექმნა, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. როგორც ვიზიტის დროს გაირკვა, დაწესებულება სთავაზობს მოსწავლეებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად - გახანგრძლივებული სწავლება ემსახურება სწორედ მოსწავლეთა დახმარებას სწავლაში არსებული სიძნელეების გამოვლენისას. თუმცა, ამის მექანიზმი დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული. შესაბამისად,

ექსპერტებმა რჩევით მიმართეს სკოლას, შეიმუშაონ რეგულაციები, რომლებიც აღწერს დაწესებულებაში განსახორციელებელ მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის პროცესებს. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან მობილობის უფლების შეზღუდვის შესახებ, გაცდენების შემთხვევაში ექსტერნის გამოცდის დანიშვნის და სტატუსის შეჩერების, შინ სწავლების უფლების შესაძლებლობის შესახებ და ა.შ. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. დაწესებულების ვებ. გვერდის დათვალიერებისას ირკვევა, რომ არაფორმალური მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი ვრცელია. კერძოდ, სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს სპორტულ ღონისძიებებს, საგანმანათლებლო პროექტებს, შემეცნებით ექსკურსიებს და ა.შ. დაწესებულებაში შექმნილია კლუბები, წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაეცნენ კითხვარებს, რომლებიც მოსწავლეების და მშობლების მიერ იყო შევსებული. სკოლის ვებ. გვერდზე განთავსებულია მშობლებისთვის განკუთვნილი კითხვარი, რომლის მიზანია სწავლების ეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობა. გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ინტერვენციები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის ახალ მოსწავლეთა სკოლაში მიღების დებულება (ბრძანება N6-16, 01.09.2021წ.);
- კითხვარები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ ვიზიტის დროს მიაწოდა ინფორმაცია ექსპერტებს სკოლის მიერ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ - სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მიერ საკუთარი საქმიანობის წარდგენა მოსწავლეებისთვის, გასვლითი ღონისძიებები სხვადასხვა დაწესებულებებში. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს დაამყაროს კავშირი პროფესიულ სასწავლებლებთანაც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლა შესაძლებლობის ფარგლებში აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის, სადამრიგებლო საათის ფარგლებშიც. მაგალითად, ერთ-ერთი აქტივობა „ ჩემი მომავალი პროფესია” - ავალდებულებს მოსწავლეს დაწეროს ესე მომავალი პროფესიის შესახებ და დაასაბუთოს, რამდენად არის შესაძლებელი ამ პროფესიის დაუფლება, ითვალისწინებენ თუ არა მშობლების აზრს არჩევანთან დაკავშირებით და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. სკოლის ვებ. გვერდზე განთავსებულია მშობლებისთვის განკუთვნილი კითხვარი, რომელიც საშუალებას აძლევს დაწესებულებას მიიღოს უკუკავშირი მშობლებისგან და შესაბამისად, გააუმჯობესოს გაწეული მომსახურება. ექსპერტები გაეცნენ მოსწავლეების და მასწავლებლების მიერ შევსებულ კითხვარებს და დარწმუნდნენ, რომ სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები;

- კითხვარები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებულია და სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლების პროგრამა. დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად, მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 4 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. სკოლას დამტკიცებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა და შექმნილი ჰყავს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. **ინდიკატორი კმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას ინკლუზიური სწავლების პროცესში. მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე ზრუნავენ საგნის მასწავლებლები, ფსიქოლოგი, დირექცია, მშობელი, მოსწავლეები. ტარდება სხვადასხვა ტიპის აქტივობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გახანგრძლივებულ სწავლებას დაწყებით და რიგ შემთხვევებში, საბაზო საფეხურზე. სკოლის ადმინისტრაციამ და პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული სერვისი უზრუნველყოფს თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დისციპლინებში, დავალების მომზადებას პედაგოგების დახმარებით და მოსწავლეთა აკადემიურ მხარდაჭერას. დაწესებულება სთავაზობს მოსწავლეებს ასევე კვების სერვისს - სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ ხორციელდება სკოლის სასადილოს პერიოდული შემოწმება. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

2. დაწესებულების მიერ შეთავაზებული გახანგრძლივებული სწავლების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
3. დაწესებულებაში ყველანაირი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადი ნორმების დაცვით და გათვალისწინებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი _ დაწყებითი საფეხური	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
2. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
3. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
4. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
2. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
3. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
4. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
5. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების ნიმუშები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის სხდომის ოქმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
2. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
3. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
4. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
5. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
2. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
3. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

4. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შესყიდვების დოკუმენტაცია;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

2. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

3. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
2. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
3. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
4. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის სხდომის ოქმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
2. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი _ საბაზო საფეხური	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
2. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
3. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
4. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
